უმცირესობა უმრავლესობაში

პროცედურული ომი და არჩევნების შემდგომი კრიზისი საკრებულოებში

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

უმცირესობა უმრავლესობაში

პროცედურული ომი და არჩევნების შემდგომი კრიზისი საკრებულოებში

თბილისი
2022

კვლევის ხელმძღვანელი: **სალომე საღარაძე**

ავტორი: **ნინო კაპანაძე**

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 4

ძირითადი მიგნებები 5

ფაქტობრივი ვითარება საკრებულოებში 7

- ბათუმი 7
- ზუგდიდი 9
- წალენჯიხა 12
- ჩხოროწყუ 15
- სენაკი 19
- რუსთავი 21
- შეჯამება 23

შეხვედრები საკრებულოების წევრებთან 24

საკრებულოს თანამდებობის პირები და მათი ფაქტობრივი გადანაწილება 2021 წლის მოწვევის საკრებულოებში 24

6 საკრებულოს რეგლამენტების ანალიზი და პრაქტიკა 27

- ბიუჯეტის მიღებაზე უფლებამოსილი საკრებულო 27
- პირველი სხდომის დღის წესრიგი და საკითხების თანმიმდევრობა 28
- კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები 30
- ფრაქციების რეგისტრაცია 31
- პირველი სხდომის საკითხთა განხილვის გაგრძელება 32
- დროებითი სამანდატო კომისია და მისი მანდატი 33
- უხუცესი წევრი და მისი მანდატი 34
- „რიგგარეშე“ სხდომა პირველი სხდომის დღის წესრიგით 35
- სხდომის ჩატარების პერიოდულობა - მორიგი და რიგგარეშე სხდომები 37
- კვორუმი 38
- წევრთა უფლებამოსილების ცნობის პროცედურები 40
- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა 41
- საკრებულოს თავმჯდომარისა და მოადგილეების გაწევრიანება კომისიებში 42

შეჯამება 43

შესავალი

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგების მიხედვით, 64-იდან 8 მუნიციპალიტეტის საკრებულოში სრული შემადგენლობის უმრავლესობა დამოუკიდებლად ვერცერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ვერ მოიპოვა.[1] ამ მოცემულობის გამო, გაჩნდა საფრთხე, რომ სხვადასხვა პარტიის შეთანხმების გარეშე ეს საკრებულოები ვერ მიიღებდნენ ისეთ ფუნდამენტურ გადაწყვეტილებებს, როგორიცაა თანამდებობის პირების არჩევა, ბიუჯეტის დამტკიცება და სხვა. მომავალი წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტის დამტკიცებასთან მიმართებით ზოგიერთმა მუნიციპალიტეტმა ახალარჩეული საკრებულოს ფუნქციონირების დაწყებამდე გამოსავალი იმაში იპოვა, რომ ის ჯერ კიდევ არსებულ, 2017 წლის მოწვევის საკრებულოს დაამტკიცებინა.[2] თუმცა, თანამდებობის პირთა არჩევის ნაწილში ისინი გადაულახავ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ყველა მუნიციპალიტეტში 2021 წლის 3 დეკემბერს გამართულ სხდომებზე 6-მა საკრებულომ[3] თავმჯდომარის არჩევა ვერ შეძლო, რის გამოც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარმომადგენლობითმა ორგანომ სხვა საკითხების განხილვა ვერ დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ 6-ვე საკრებულოში კრიზისის შედეგი ერთგვაროვანი ჩანდა (ისინი ვერ ირჩევდნენ თავმჯდომარეს), პოლიტიკური კონტექსტი და პარტიების წარმომადგენელთა კონფიგურაცია ადგილებზე განსხვავებულ სურათს ქმნიდა. ეს გამოიკვეთა შესაბამის საკრებულოებში წარმოდგენილ პარტიებთან საიას წარმომადგენელთა შეხვედრებისა და იქ არსებული სიტუაციის შესწავლის შედეგად. გარდა ამისა, ორგანიზაცია საკრებულოების სხდომების მონიტორინგსაც აწარმოებდა, საიდანაც მიღებულმა ინფორმაციამ არსებითად შეავსო დაკვირვების შედეგები.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, საკრებულოებში წარმოქმნილი კრიზისის გამომწვევი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების იდენტიფიცირება. ქვემოთ მოცემულია 6 მუნიციპალიტეტის - **ბათუმის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, სენაკისა** და **რუსთავის** საკრებულოებში არსებული სიტუაციის აღწერა, დეპუტატებთან შეხვედრებისა თუ სხდომების მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი ტენდენციები,

---

[1] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 ნოემბრის N49/2021 სხდომის ოქმი, დანართი 3, „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის, შესაბამისი საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი, კანონიერ ძალაში შესული შემაჯამებელი ოქმების მიხედვით, საკრებულოს წევრად, მერად არჩეული პირები“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3HPI7NW, განახლებულია: 27.04.2022.

[2] „ბათუმში, ზუგდიდში, სენაკში, ჩხოროწყუსა და მარტვილში 2022 წლის ბიუჯეტი დაამტკიცეს“, საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა“,* 2021 წლის 26 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=121048, განახლებულია: 27.04.2022, „რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა“, საინფორმაციო პორტალი *„tv4“*, 2021 წლის 25 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3McXYsw, განახლებულია: 27.04.2022.

[3] მარტვილში საკრებულოს თავმჯდომარედ ქართული ოცნების წარმომადგენელი აირჩიეს, რომელსაც პარტია „ევროპელი სოციალისტების“ წევრებმა დაუჭირეს მხარი, იხ. „მარტვილის საკრებულოს თავმჯდომარედ ლევან სურმავა აირჩიეს“, საინფორმაციო პორტალი *„მარტვილელები“,* 2021 წლის 3 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3B7YjYm, განახლებულია: 27.04.2022; დმანისში კი 2021 წლის 10 დეკემბერს ქართულმა ოცნებამ ნაციონალური მოძრაობის პარტიიდან წასული წევრის ხმა დაიმატა თავმჯდომარის ასარჩევად. იხ. „გაუჩინარებული ოპოზიციონერი რამიზ რამაზანოვი საკრებულოს სხდომაზე მივიდა, ის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს“, საინფორმაციო პორტალი *„რადიო თავისუფლება“*, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3keQcBO, განახლებულია: 27.04.2022.

გაანალიზებულია შესაბამისი სამართლებრივი ნორმები და გამოვლენილია ხარვეზები. ამასთანავე, დასახელებული მუნიციპალიტეტების საკრებულოების გარდა, ორგანიზაციამ შეისწავლა თანამდებობის პირების გადანაწილების საკითხი სხვა თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლობით ორგანოებშიც.[4]

ძირითადი მიგნებები

წინამდებარე დოკუმენტში განხილულია არა მხოლოდ ფაქტობრივი სიტუაცია საკრებულოებში, არამედ სამართლებრივი საკითხებიც, კერძოდ, შესწავლილი 6 საკრებულოს რეგლამენტების რელევანტური დებულებები. მიგნებები ორივე ნაწილში გამოიკვეთა. უფრო კონკრეტულად:

- ✓ 64-იდან 8 მუნიციპალიტეტის საკრებულოებში უმრავლესობას დამოუკიდებლად ვერცერთი პარტია ვერ ქმნის. აქედან 6-ში ამ სიტუაციამ გამოიწვია ახალარჩეულ საკრებულოში პირველივე სხდომაზე ჩასატარებელი პროცედურების რამდენიმე თვით გაჭიანურება და წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქციონირების შეფერხება;
- ✓ ახალარჩეული საკრებულოების პირველი შეკრების შემდეგ, თითქმის 5 თვეა, ბათუმის და სენაკის საკრებულოები, ფაქტობრივად, ვერ ფუნქციონირებენ; ზუგდიდის საკრებულომ რამდენიმე მცდელობის შემდეგ მხოლოდ თავმჯდომარის არჩევა შეძლო, სხვა პროცედურების გაგრძელებას კი, კვორუმის არარსებობის გამო, 1 თვეზე მეტ ხანს ვერ ახერხებდნენ;
- ✓ იმ პრობლემურ საკრებულოებში, სადაც თავმჯდომარის არჩევა რამდენიმე მცდელობის შემდეგ შეძლეს, საკრებულოს პირველი პირი ყველგან პარტიის „საქართველოსთვის“ წევრი გახდა. მას მხარი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ლელო - საქართველოსთვის“[5] წევრებმა დაუჭირეს;
- ✓ თავმჯდომარის გარდა, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და რუსთავის საკრებულოებში სხვა თანამდებობებიც იმ პარტიებმა გაინაწილეს, რომლებიც თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობდნენ. „ქართული ოცნებას“ თანამდებობის პირთა არჩევნებში კანდიდატურა არ წარუდგენიათ და არც კენჭისყრაში მიუღიათ მონაწილეობა;
- ✓ ყველა საკრებულოში, სადაც სრული შემადგენლობის უმრავლესობა „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა, საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილეები და კომისიათა თავმჯდომარეები ამავე პარტიიდან აირჩიეს;
- ✓ მარტვილისა და დმანისის საკრებულოებში, სადაც „ქართული ოცნების“ წარმო-

[4] აღსანიშნავია, რომ საიამ 2021 წლის დეკემბერში გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია ყველა მუნიციპალიტეტის საკრებულოდან, თუმცა 19 საკრებულოდან პასუხი ამ დრომდე (2022 წლის 1-ლი მაისი) არ მოსულა.

[5] შემდგომ ტექსტში პარტია „საქართველოსთვის“ მოხსენიებული იქნება როგორც „გახარია საქართველოსთვის“ ან გახარიას პარტია; პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - როგორც „ნაციონალური მოძრაობა“, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - როგორც „ქართული ოცნება“, ხოლო პარტია „ლელო საქართველოსთვის“ - როგორც „ლელო“.

მადგენელი საკრებულოს თავმჯდომარე სხვა პარტიული თუ არაპარტიული სუბიექტების მხარდაჭერით გახდა, სხვა თანამდებობათა ნაწილიც ამ სუბიექტებმა დაიკავეს;

- ✓ სენაკის საკრებულოში, სადაც „ნაციონალური მოძრაობა“ და პარტია „გახარია საქართველოსთვის“ დამოუკიდებლად საკრებულოს უფლებამოსილების კვორუმს (სრული შემადგენლობის უმრავლესობას) ვერ ადგენდნენ, „ქართული ოცნების“ დეპუტატები სხდომებს არ ესწრებოდნენ. შედეგად, გახარიას პარტიამ ვერ შეძლო 1 წევრის უფლებამოსილების ცნობა, რითაც მათ, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად, შესაძლებლობა ექნებოდათ, კენჭისყრაზე დაეყენებინათ საერთო კანდიდატი და საკრებულოს თავმჯდომარე აერჩიათ;
- ✓ ბათუმის საკრებულომ 2021 წლის 30 დეკემბრის შემდეგ სხდომების ჩატარება შეწყვიტა (აპრილში დანიშნული შუალედური არჩევნების გამო), რითაც პარტიებს შორის კონსენსუსის შესაძლებლობა, ფაქტობრივად, გამოირიცხა;
- ✓ რუსთავის საკრებულომ 2021 წლის 3 დეკემბრის შემდეგ მხოლოდ მაშინ ჩაატარა სხდომა, როცა პარტიები საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურაზე შეთანხმდნენ. ამ პერიოდმა თითქმის 2 თვე შეადგინა;
- ✓ 2021 წლის მოწვევის საკრებულოთა წევრების, საშუალოდ, 70% თანამდებობის პირია;
- ✓ საკრებულოთა რეგლამენტები არ შეიცავს რაიმე ანტიკრიზისულ/ანტიჩიხურ მექანიზმებს იმ შემთხვევისთვის, თუ საკრებულო ვერ ირჩევს თანამდებობის პირებს;
- ✓ საკრებულოთა რეგლამენტები არ შეიცავს ისეთ რეგულაციას, რომელიც უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობას, თუკი დროებითი სამანდატო კომისია ან საკრებულო არ/ვერ იღებს გადაწყვეტილებას;
- ✓ ბათუმის გარდა, სხვა საკრებულოთა რეგლამენტები არ ითვალისწინებს დროებითი სამანდატო კომისიის წევრების წარდგენის პროცედურას;
- ✓ რეგლამენტებში მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული საკრებულოთა ფრაქციების რეგისტრაციის მომენტი, რაც განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა;
- ✓ ცალკეულ საკრებულოებში არ არის დადგენილი მორიგი სხდომების გამართვის თარიღები (სასესიო პერიოდები), რის გამოც, ზოგიერთ შემთხვევაში გაურკვეველია თვეში 1 სხდომის ჩატარების ზუსტი პერიოდულობა;
- ✓ რეგლამენტები არ ითვალისწინებს პირველი სხდომის დღის წესრიგის ფარგლებში მომდევნო სხდომების მოწვევის ზუსტ პროცედურებს (ინიციატორი, მოწვევაზე უფლებამოსილი პირი, მოწვევის პერიოდულობა);
- ✓ არც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და არც საკრებულოთა რეგლამენტებით არ არის დადგენილი ახალი მოწვევის საკრებულოს არჩევის შემდეგ წინა მოწვევის საკრებულოს სხდომების ჩატარების შესაძლებლობა, რაც განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას აჩენს (მაგალითად, სადავოა მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხი);

- ✓ საკრებულოთა რეგლამენტები არ შეესაბამება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების, კომისიების დაკომპლექტების, მათი თავმჯდომარეების არჩევის პროცედურების ნაწილში.

ფაქტობრივი ვითარება საკრებულოებში

ბათუმი

ბათუმის საკრებულო შედგება 35 წევრისგან - 28 პროპორციული წესით არჩეული და 7 მაჟორიტარი.[6] არჩევნების შედეგად, ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოში პარტიული გადანაწილება თავდაპირველად ასეთი იყო:[7]

- „ნაციონალური მოძრაობა“ - 15 წევრი (12 პროპორციული, 3 მაჟორიტარი);
- „ლელო“ - 1 წევრი (პროპორციული);
- „გახარია საქართველოსთვის“- 3 წევრი (პროპორციული);
- „ქართული ოცნება“ - 16 წევრი (12 პროპორციული, 4 მაჟორიტარი).

არჩევნების შემდეგ, საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობამდე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ნუგზარ ფუტკარაძის (მაჟორიტარი) გარდაცვალების[8] გამო, ამ პარტიის წევრთა რაოდენობა 14-მდე, ხოლო საკრებულოს წევრების - 34-მდე შემცირდა. 3 დეკემბრამდე გახარიას პარტია ერთმა წევრმა დატოვა და დამოუკიდებელი დეპუტატი გახდა.[9] შესაბამისად, ამ პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენლობა ბათუმის საკრებულოში 2 წევრით განისაზღვრა.

შედეგად, ბათუმის საკრებულოში უმრავლესობა (ანუ 18 წევრი) დამოუკიდებლად ვერცერთმა პარტიამ ვერ მოიპოვა. კერძოდ, შუალედურ არჩევნებამდე „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში 16 წევრი იყო, დანარჩენ პარტიებს ერთად 17 წევრი ჰყავდათ, ხოლო 1 წევრი დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით სარგებლობდა. კანონმდებლობით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობის (რომელიც ბათუმის საკრებულოში ასევე 18 წევრს შეადგენს) მხარდაჭერა საჭიროა თავმჯდომარის, მოადგილეებისა და კომისიების თავმჯდომარეების არჩევა-გადაყენების,[10] ასევე ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებისთვის.[11]

2021 წლის 3 დეკემბერს გამართულ პირველ სხდომაზე ბათუმის საკრებულოს წევრთა

---

[6] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, დანართი N1.

[7] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 ნოემბრის N49/2021 სხდომის ოქმი, დანართი 3.

[8] „ბათუმის ახალი საკრებულოს წევრი, ენმ-ის დეპუტატი ნუგზარ ფუტკარაძე გარდაიცვალა“, საინფორმაციო პორტალი *„ფორმულა“*, 2021 წლის 18 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/60375, განახლებულია: 27.04.2022.

[9] „ირაკლი თავდგირიძემ პარტია „საქართველოსთვის“ ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა“, სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის ინტერნეტპორტალი *„1tv.ge“*, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ozuzyP, განახლებულია: 27.04.2022.

[10] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 36-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტები, 37-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები.

[11] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 91-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

უფლებამოსილების ცნობას მხარი 28 წევრმა დაუჭირა,[12] რითაც უფლებამოსილება შეუწყდა წინა მოწვევის საკრებულოს. ამავე დღეს დროებითმა სამანდატო კომისიამ დააფუძნა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ (სხვა ფრაქციები არ დარეგისტრირებულა).[13] ამ პროცედურის დასრულების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ და პარტია „ლელოს“ წევრებმა პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვეს.[14] კვორუმის არარსებობის გამო, საკრებულოს სხდომა შესვენების შემდეგ ვეღარ გაგრძელდა. შედეგად, ორგანომ თავმჯდომარე ვერ აირჩია (დარბაზში იმყოფებოდა მხოლოდ 17 დეპუტატი[15]). საკრებულოს სხდომა კი უფლებამოსილია, შეიკრიბოს და განიხილოს საკითხები, თუ მას ესწრება საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი (18 წევრი).[16]

ვინაიდან 2021 წელს არჩეულ საკრებულოში დამოუკიდებლად არცერთ პოლიტიკურ ძალას საჭირო უმრავლესობა არ გააჩნდა და ვერც პარტიებს შორის შეთანხმება მოხერხდა, ბათუმის საკრებულომ თავმჯდომარე ვერც მომდევნო სხდომებზე აირჩია. კერძოდ, 23 და 30 დეკემბერს სხდომა საკრებულოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნით დაინიშნა. დღის წესრიგი ორ საკითხს ითვალისწინებდა: საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა და 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ წინა მოწვევის საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილების ბათილად ცნობა. სხდომას მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“, „ლელოს“ და პარტია „გახარია საქართველოსთვის“ დეპუტატები ესწრებოდნენ. „ქართული ოცნების“ წევრები კი არ გამოცხადდნენ. ორივე დღეს სხდომა კვორუმის არარსებობის გამო ჩაიშალა.[17] 2021 წლის 30 დეკემბრიდან შუალედურ არჩევნებამდე ბათუმში საკრებულოს სხდომა არ გამართულა და არც მოწვევის მცდელობა გამოვლენილა სათანადო სუბიექტების მხრიდან. 2022 წლის იანვარში საკრებულოს წევრის მანდატი „გახარია საქართველოსთვის“ პარტიის პროპორციული წესით არჩეულმა წევრმა ნინო ბაციაშვილმა დატოვა.[18] მას პარტიის მომდევნო წევრი ჩაანაცვლებს მაშინ, როცა საკრებულო შეკრებას შეძლებს.

2022 წლის 1-ელ თებერვალს ცესკოს განკარგულებით საკრებულოს შუალედური არჩევნები 2 აპრილს დაინიშნა.[19] არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა რამაზ ჯინჭარაძემ გაიმარჯვა.[20] შედეგად „ქართული ოცნების“ წარმომადგენლობა საკრებულოში 17 წევრამდე გაიზარდა. თუმცა, იმისთვის, რომ ამ პარტიამ სრული შე-

---

[12] ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის სხდომის ოქმი.

[13] *იქვე.*

[14] *იქვე.*

[15] *იქვე.*

[16] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტი, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის N34 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 51-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[17] საკრებულოს სხდომა, 2021 წლის 30 დეკემბერი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Kk1HCK, განახლებულია: 27.04.2022.

[18] „ბათუმში გახარიას პარტიის წევრმა ნინო ბაციაშვილმა საკრებულო დატოვა“, საინფორმაციო პორტალი *„ბათუმელები“,* 2022 წლის 24 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3F6aRBT, განახლებულია: 27.04.2022.

[19] „2 აპრილს შუალედური არჩევნები გაიმართება, საინფორმაციო პორტალი *„ინტერპრესნიუსი“,* 2022 წლის 1-ლი თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3sqqzTm, განახლებულია: 27.04.2022.

[20] ბათუმის 79.04 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის შემაჯამებელი ოქმი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OpdZNf, განახლებულია: 27.04.2022.

მადგენლობის უმრავლესობა ოფიციალურად გაიფორმოს საკრებულოში, საჭიროა ახალარჩეული მაჟორიტარის უფლებამოსილების ცნობაც, რასაც სხდომაზე, სულ მცირე, 18 წევრის გამოცხადება სჭირდება. 12 აპრილს „ქართული ოცნების“ ინიციატივით მოწვეულ სხდომაზე არ გამოცხადდნენ „ნაციონალური მოძრაობის“, „ლელოს“ და „გახარია საქართველოსთვის“ პარტიის წევრები, რის გამოც სხდომის გახსნისთვის საჭირო კვორუმი ვერ შეიკრიბა, შესაბამისად, ვერ გაიხსნა.[21] დეპუტატები რიგგარეშე არჩევნებს პროგნოზირებენ, ვინაიდან ოპონენტ პარტიებს შორის შეთანხმების პერსპექტივას ვერ ხედავენ.[22]

ზუგდიდი

ზუგდიდის საკრებულო შედგება 45 დეპუტატისგან, საიდანაც 15 მაჟორიტარია, 30 კი - პროპორციული წესით არჩეული.[23] არჩევნების შედეგად, ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოში პარტიული გადანაწილება ასეთი იყო:[24]

- „ნაციონალური მოძრაობა“ - 22 წევრი (14 პროპორციული, 8 მაჟორიტარული);
- „გახარია საქართველოსთვის“ - 3 წევრი (პროპორციული);
- „ქართული ოცნება“ - 20 წევრი (13 პროპორციული, 7 მაჟორიტარული).

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ამ საკრებულოში ჰყავს „ნაციონალურ მოძრაობას“ „ქართულ ოცნებაზე“ მეტი დეპუტატი, თუმცა, უმრავლესობა დამოუკიდებლად არცერთ პოლიტიკურ ძალას არ აქვს. ზუგდიდში თავმჯდომარის ასარჩევი კვორუმია 23.

2021 წლის 3 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის საკრებულოს პირველ სხდომას 45-ვე დეპუტატი ესწრებოდა. საკრებულომ ყველა წევრის უფლებამოსილება ერთხმად ცნო. იმავე დღეს ორი ფრაქცია დაფუძნდა: „ზუგდიდი საქართველოსთვის“ და „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.[25] უფლებამოსილების ცნობის შემდეგ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და გახარიას პარტიის დეპუტატებმა სხდომა დატოვეს,[26] რის გამოც, სხვა პროცედურების ჩასატარებლად კვორუმი ვერ შეიკრიბა. სხდომა ისე დასრულდა, რომ თავმჯდომარის არჩევა ვერ მოხერხდა.[27]

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ თეიმურაზ ბასილაიას განცხადებით,

---

[21] ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 12 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xSTUZW, განახლებულია: 27.04.2022.

[22] „ჩვენ მზად ვართ“ - ვინ ელის ბათუმში რიგგარეშე არჩევნებს შემოდგომაზე“, საინფორმაციო პორტალი *„ბათუმელები“,* 2022 წლის 18 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3k06RZM, განახლებულია: 27.04.2022.

[23] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, დანართი 1.

[24] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 ნოემბრის N49/2021 სხდომის ოქმი, დანართი 3.

[25] ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდი, საკრებულოს ფრაქციები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37QLjw5, განახლებულია: 27.04.2022.

[26] „ზუგდიდის საკრებულომ თავმჯდომარე ვერ აირჩია, სხდომა 1 კვირით გადაიდო“, საინფორმაციო პორტალი *„netgazeti.ge*“, 2021 წლის 3 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/579777/, განახლებულია: 27.04.2022.

[27] „ზუგდიდში საკრებულოს სხდომა თავმჯდომარის არჩევის გარეშე გადადეს“, საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა“*, 2021 წლის 3 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=121618, განახლებულია: 27.04.2022.

კენჭისყრის პროცედურებში აღარ აპირებდნენ მონაწილეობას.[28] პარლამენტის წევრ ანი წითლიძის ინფორმაციით, „ქართული ოცნება“ გახარიას პარტიას სთავაზობდა, რომ თავმჯდომარის პოსტზე მხარს დაუჭერდნენ მათი პარტიის კანდიდატურას და, დამატებით, მერიაში თანამდებობებს მისცემდნენ. ამის სანაცვლოდ კი, „ქართული ოცნება“ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და კომისიის თავმჯდომარეების თანამდებობებს დაიკავებდა.[29]

„გახარია საქართველოსთვის“ დეპუტატის გიგა ფარულავას აზრით, მოსახლეობამ მხარი არა ერთპარტიულ, არამედ დაბალანსებულ მმართველობას დაუჭირა. მისი თქმით, მათმა პარტიამ არჩევნების დასრულებიდან მალევე ორივე პოლიტიკურ ძალას მოუწოდა, თავიდან აერიდებინათ კრიზისი ადგილობრივ დონეზე. ამ მიზეზით მათ უარი თქვეს საკრებულოებში თანამდებობებზე და პირველ და მეორე ადგილზე გასულ პარტიებს შესთავაზეს, შეთანხმების გზით აერჩიათ საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, რაზეც არცერთი პარტიიდან პასუხი არ მიუღიათ.[30]

მომდევნო, 10 დეკემბრის სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ ზუგდიდის საკრებულოს დეპუტატებმა „ნაციონალური მოძრაობიდან”[31] და „ქართული ოცნებიდან“ საკრებულოს წევრის მანდატები დატოვეს.[32] საკრებულომ მათი უფლებამოსილების შეწყვეტა ცნობად მიიღო.[33] ამავე დღეს ცნობად მიიღეს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნებაც. ამ ფრაქციის წევრებს სხვა პროცედურული საკითხების განხილვაში მონაწილეობა აღარ მიუღიათ და სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს.[34] კვორუმის არარსებობის გამო, საკრებულოს სხდომა ერთი კვირით გადაიდო. „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკური კრიზისის შექმნაში ერთმანეთს ადანაშაულებდნენ.[35]

ზუგდიდის საკრებულოს მომდევნო სხდომები პირველი სხდომის დღის წესრიგით გაიმართა 2021 წლის 17 და 24 დეკემბერს, 2022 წლის 12 იანვარს, 14 და 24 თებერვალს.

---

[28] „საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, ენმ-მ სხდომა დატოვა“, საინფორმაციო პორტალი *„Livepress.ge“*, 2021 წლის 3 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Jeo4Jr, განახლებულია: 27.04.2022.

[29] „წინადადებას სთავაზობენ გახარიას” - წითლიძე ზუგდიდის საკრებულოში „ოცნების” სცენარზე წერს”, საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა“,* 2021 წლის 3 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=121716, განახლებულია: 27.04.2022.

[30] „საკრებულოს სამანდატო კომისიის წევრობაზე ოპოზიციამ ზუგდიდში უარი თქვა“, საინფორმაციო პორტალი *„Livepress.ge“*, 2021 წლის 3 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35TNVbb, განახლებულია: 27.04.2022.

[31] „ზუგდიდის საკრებულოს მეორე დეპუტატიც გამოაკლდა - მანდატი „ნაცმოძრაობის” წევრმა გიორგი ფიფიამ დატოვა“, საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა“,* 2021 წლის 10 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=122435, განახლებულია: 27.04.2022.

[32] „ოცნების” დეპუტატმა, ირაკლი ლაგვილავამ ზუგდიდის საკრებულოს მანდატი დატოვა“, საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა“,* 2021 წლის 10 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=122372, განახლებულია: 27.04.2022.

[33] ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2021 წლის 10 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/zugdidiSsakrebulo, განახლებულია: 27.04.2022.

[34] „ენმ-მ საკრებულოს სხდომის დატოვებით გადადგა კრიზისისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი - „ოცნების“ დეპუტატი“, საინფორმაციო პორტალი *„Livepress.ge“*, 2021 წლის 10 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uCnqBl, განახლებულია: 27.04.2022.

[35] *იქვე.*

„ქართულმა ოცნებამ“ 17 დეკემბრის სხდომაზეც არ დააყენა თავმჯდომარის კანდიდატურა. ფრაქციის თავმჯდომარის განცხადებით, ისინი არც კენჭისყრაში მიიღებდნენ მონაწილეობას, თუმცა სხდომას დაესწრებოდნენ.[36] ამ სხდომაზე დეპუტატებმა წინა სხდომისას გამოკლებული დეპუტატების ადგილმონაცვლე 2 ახალი წევრის უფლებამოსილება ცნეს,[37] რის შემდეგაც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა სხდომა დატოვეს.[38] ვინაიდან საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურა არავის დაუყენებია, მომდევნო სხდომა ამჯერად 24 დეკემბრისთვის ჩაინიშნა.[39]

24 დეკემბრის სხდომაზე რეგისტრაცია მხოლოდ 19-მა დეპუტატმა გაიარა, რაც კვორუმისთვის საკმარისი არ იყო. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის განცხადებით, პარტიის წევრები თბილისში „მასობრივი შიმშილობის აქციას“ უერთდებოდნენ, რის გამოც სხდომას ვერ დაესწრებოდნენ.[40] საბოლოოდ, ის 2022 წლის 12 იანვრისთვის გადაიდო.[41]

12 იანვრის სხდომას არ ესწრებოდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ არცერთი და ,,ქართული ოცნების“ რამდენიმე წევრი. მასზე მხოლოდ 17 დეპუტატი იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, კვლავ ვერ მოხერხდა თავმჯდომარისა და თანამდებობის სხვა პირების არჩევა. „ქართული ოცნების“ წევრთა განცხადებით, სხდომას 1 თვის შემდეგ ჩაატარებდნენ, თუმცა, თუ რომელიმე ფრაქციას მისი უფრო ადრე გამართვის სურვილი ექნებოდა, შეეძლოთ, საკრებულოსთვის მიემართათ.[42]

ზუგდიდის საკრებულოს შემდეგი სხდომა 2022 წლის 14 თებერვალს გაიმართა. საკრებულოს თავმჯდომარედ პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წევრი გიგა ფარულავა აირჩიეს.[43] მას მხარი დაუჭირეს ფრაქციებმა: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ზუგდიდი საქართველოსთვის“ (25 წევრი). კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ფრაქციამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“. ამავე სხდომაზე საკრებულომ ცნობად მიიღო „ქართული ოცნების“ წევრის პირადი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა. იმავე დღეს მის უფლებამონაცვლედ ერთხმად აირჩიეს მისი ადგილმონაცვლე.[44] საკრებულომ ასევე ცნობად მიიღო ფრაქცია

---

[36] „ოცნებამ“ არ დააყენა საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატურა - სხდომა გადაიდო“, საინფორმაციო პორტალი *„Livepress.ge“*, 2021 წლის 17 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/34r9UpG, განახლებულია: 27.04.2022.

[37] ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2021 წლის 17 დეკემბერი.

[38] „ზუგდიდის საკრებულოს სხდომა „ნაციონალური მოძრაობის” წევრებმა დატოვეს“, საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა“,* 2021 წლის 17 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=122995, განახლებულია: 27.04.2022.

[39] ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2021 წლის 17 დეკემბერი.

[40] „ზუგდიდის საკრებულოში „ნაცმოძრაობის“ წევრის განცხადებით, თბილისში მიმდინარე მასობრივი შიმშილობის აქციას უერთდებიან და, ამის გამო, საკრებულოს სხდომას ვერ დასწრებიან“, საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა“,* 2021 წლის 24 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=123503, განახლებულია: 27.04.2022.

[41] „ზუგდიდის საკრებულოს სხდომა 12 იანვრამდე გადაიდო“, საინფორმაციო პორტალი *„Livepress.ge“*, 2021 წლის 24 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Ba3WFz, განახლებულია: 27.04.2022.

[42] „ზუგდიდის საკრებულოს სხდომა მეხუთედ გადაიდო“ საინფორმაციო პორტალი *„netgazeti.ge“* 2022 წლის 12 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/586303/, განახლებულია: 27.04.2022.

[43] ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 14 თებერვალი.

[44] ბესიკ ჭეჭიას ნაცვლად, აირჩიეს მისი ადგილმონაცვლე ირუზა კაკავა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 14 თებერვალი.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილეების არჩევაც.[45] სხდომაზე სხვა პროცედურების ჩატარება შეუძლებელი გახდა მოქალაქეთა პროტესტისა და დარბაზში წესრიგის დამყარების შეუძლებლობის გამო.[46]

მომდევნო სხდომა, რომელიც 2022 წლის 22 თებერვალს იყო მოწვეული, კვორუმის არარსებობის გამო გადაიდო. სხდომას არ ესწრებოდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ არცერთი და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ რამდენიმე წევრი. შემდეგი სხდომა 1-ელ მარტს ჩაინიშნა,[47] თუმცა, ისიც ვერ ჩატარდა. ის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა დატოვეს და კვორუმის არარსებობის გამო კვლავ ჩაიშალა.[48] იგივე ბედი ეწია 11[49] და 16 მარტს[50] მოწვეულ სხდომებსაც. მხოლოდ 22 მარტის სხდომაზე შეძლო საკრებულომ შემდგომ პროცედურებზე გადასვლა. კერძოდ, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩიეს ფრაქცია „ზუგდიდი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე, ერთ-ერთ მოადგილედ კი - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე.[51] მოადგილეების არჩევნების კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია „ქართულ ოცნებას“.[52] 25 მარტის სხდომაზე კომისიების თავმჯდომარეები აირჩიეს. ყველა კომისიის თავმჯდომარე, ერთის გარდა, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრია.[53]

წალენჯიხა

წალენჯიხის საკრებულო შედგება 27 წევრისგან, საიდანაც 18 პროპორციული წესითაა არჩეული, 9 - მაჟორიტარულით.[54] 2021 წლის არჩევნების შემდეგ პარტიული განაწილება საკრებულოში ასეთი იყო:[55]

- „ნაციონალური მოძრაობა“ - 11 წევრი (7 პროპორციული, 4 მაჟორიტარული);
- „ლელო“ - 1 წევრი (პროპორციული);
- „გახარია საქართველოსთვის“ - 4 წევრი (3 პროპორციული, 1 მაჟორიტარული);
- „ქართული ოცნება“ - 11 წევრი (7 პროპორციული, 4 მაჟორიტარული).

აღსანიშნავია, რომ წალენჯიხა საქართველოს მუნიციპალიტეტებს შორის ერთადერთია, სადაც 2021 წლის მერის არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გაიმარჯვა.[56] საკრებულოში კი უმრავლესობა არცერთ პარტიას არ აქვს. თავმჯდომარის ასარჩევი კვორუმია 14.

---

[45] *იქვე.*
[46] „ოპოზიციამ ზუგდიდში საკრებულოს თავმჯდომარე აირჩია“, 2022 წლის 14 თებერვალი, საინფორმაციო პორტალი “*civil.ge*”, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/472649, განახლებულია: 27.04.2022.
[47] ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 22 თებერვალი.
[48] *იქვე,* 2022 წლის 1-ლი მარტი.
[49] *იქვე,* 2022 წლის 11 მარტი.
[50] *იქვე,* 2022 წლის 16 მარტი.
[51] *იქვე,* 2022 წლის 22 მარტი.
[52] *იქვე.*
[53] *იქვე,* 2022 წლის 25 მარტი.
[54] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, დანართი 1.
[55] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 ნოემბრის N49/2021 სხდომის ოქმი, დანართი 3.
[56] *იქვე.*

3 დეკემბრის სხდომას ესწრებოდა 26 დეპუტატი. დეპუტატებმა უფლებამოსილების ცნობას ერთხმად დაუჭირეს მხარი. იმავე დღეს დაფუძნდა ფრაქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის“. ამ ფრაქციის თავმჯდომარემ პირველსავე სხდომაზე განაცხადა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურას არ წამოაყენებდნენ და არც კენჭისყრაში მიიღებდნენ მონაწილეობას. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა, იმ მოტივით, რომ კოალიციური მმართველობა ვერ ჩამოყალიბდა, სხდომა დატოვეს.[57] მათ „გახარია საქართველოსთვის” პარტიის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. კვორუმის არარსებობის გამო სხდომა ვეღარ გაგრძელდა და ის 10 დეკემბრისთვის ჩაინიშნა.[58]

10 დეკემბრის სხდომას 22 წევრი ესწრებოდა. გახარიას პარტიის წევრმა განაცხადა, რომ ვინაიდან პარტიებს შორის ვერ მოხერხდა შეთანხმება, მათი აზრით, სხდომა კიდევ უნდა გადადებულიყო. ისინი აცხადებდნენ, რომ კოალიციაში არავისთან არ შევიდოდნენ. ამასთანავე, რადგანაც უმრავლესობით საკრებულოში არცერთი პარტია არ იყო წარმოდგენილი, საჭირო იყო, საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის საკითხზე კონსულტაციები პარტიებს შორის წინასწარ გამართულიყო. გახარიას პარტია აანონსებდა, რომ შესაძლოა, მომდევნო სხდომაზე მათ საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი საკუთარი პარტიიდან წარედგინათ.[59] სხდომის გადადების ინიციატივა გაიზიარა „ქართულმა ოცნებამაც“, შესაბამისად, ის, საერთო მხარდაჭერით, 17 დეკემბრისთვის გადაიდო.

პირველი სხდომის დღის წესრიგით მომდევნო სხდომები გაიმართა 2021 წლის 17 და 23 დეკემბერს, 2022 წლის 11, 20 და 25 იანვარს.

17 დეკემბრის სხდომაზე დაფუძნდა ფრაქციები „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.[60] ვინაიდან არც ამ ეტაპზე არსებობდა შეთანხმება პარტიებს შორის თავმჯდომარის კანდიდატურაზე, „ქართული ოცნების“ წევრმა სხდომის 1 კვირით გადადება იშუამდგომლა. გახარიას პარტიის წევრმა კი განაცხადა, რომ ისინი არ აყენებდნენ კანდიდატურას, თუმცა თანახმანი იყვნენ, მხარი იმ კანდიდატისთვის დაეჭირათ, რომელსაც სხვები წამოაყენებდნენ.[61] სხდომის დაწყებამდე გიორგი გახარიას პარტიაში ამბობდნენ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე თავის კანდიდატს დაასახელებდნენ, თუმცა, მოულოდნელად, გადაწყვეტილება შეცვალეს.[62] არც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ წამოაყენა კანდიდატურა, ვინაიდან „ქართულ ოცნებასთან“ რაიმე მოლაპარაკების გამართვა არ სურდათ.[63] სხდომა კვლავ გადაიდო - ამჯერად, 23 დეკემბრისთვის.

23 დეკემბრის სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დასახელდა კორნელი სალიას კანდიდატურა „გახარია საქართველოსთვის“ პარტიიდან. მანამდე

---

[57] წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის სხდომის ოქმი.

[58] *იქვე.*

[59] „წალენჯიხის საკრებულოს სხდომის გამართვა კიდევ ერთი კვირით გადაიდო, საინფორმაციო პორტალი „იმედი ნიუსი“, 2021 წლის 10 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uBR3CQ, განახლებულია: 27.04.2022.

[60] წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის სხდომის ოქმი.

[61] *იქვე.*

[62] „წალენჯიხის საკრებულოს სხდომა ისევ ჩაიშალა - თავმჯდომარე დღესაც ვერ აირჩიეს“, საინფორმაციო პორტალი „მთავარი არხი“, 2021 წლის 17 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uC6kne, განახლებულია: 27.04.2022.

[63] წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის სხდომის ოქმი.

საკრებულო პროტესტის ნიშნად დატოვეს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა. „ქართულმა ოცნებამ“ წამოაყენა ინიციატივა, სხდომა 11 იანვრამდე გადადებულიყო. მიზეზად კონსულტაციების გაგრძელება დაასახელეს.[64] სხდომის გადადებას საკრებულომ მხარი ხმათა უმრავლესობით დაუჭირა.

2022 წლის 11 იანვრის სხდომაზე საკრებულოს წევრებს პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წარმომადგენელმა თანამდებობების გადანაწილების თავისი ფორმულა შესთავაზეს, რომლის თანახმადაც, 4 თანამდებობა - „ქართულ ოცნებას“, 4 - „ნაციონალურ მოძრაობას“, ხოლო 1, საკრებულოს თავმჯდომარის პოზიცია, მათ წარმომადგენელს უნდა დაეკავებინა. ამასთანავე, პირველი მოადგილე „ნაციონალური მოძრაობიდან” იქნებოდა.[65] ამ შეთავაზებას არ დაეთანხმნენ სხვა ოპოზიციური პარტიები. „ლელოს“ წევრმა დეპუტატებს თავისი ფორმულა შესთავაზა, რომლის მიხედვითაც, თავმჯდომარის მოადგილის პოზიცია სამივე პარტიას ექნებოდა. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, ისინი კატეგორიულად არ დაეთანხმნენ „ქართული ოცნების“ დეპუტატებისთვის თანამდებობების გადანაწილებას, თუმცა აღნიშნეს, რომ „ლელოს“ წინადადებაზე იმსჯელებდნენ.[66] 11 იანვრის სხდომაც თავმჯდომარის არჩევის გარეშე დასრულდა და ის 20 იანვრისთვის გადაიდო.

20 იანვრის სხდომა საკრებულოს თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრით გაგრძელდა. 27 დეპუტატიდან კენჭისყრაში მონაწილეობდა 15. „ქართული ოცნებას“ მასში მონაწილეობა არ მიუღია. ხმის დათვლის შედეგად, 14 ხმით საკრებულოს თავმჯდომარედ კორნელი სალია აირჩიეს (ერთი ბიულეტენი ბათილად ცნეს). სხდომაზე ასევე მიიღეს რეგლამენტში ცვლილებები. დღის წესრიგით განსაზღვრული დანარჩენი საკითხების განხილვა მომდევნო სხდომისთვის გადაიდო.[67]

25 იანვრის სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩიეს „ნაციონალური მოძრაობის“, ხოლო მოადგილედ - „ლელოს“ წარმომადგენელი.[68] კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია პარტია „ქართული ოცნებას“. მათ უარი განაცხადეს გახარიას პარტიის წინადადებაზე საკრებულოს მოადგილის თანამდებობასთან დაკავშირებით. ამავე სხდომაზე დაამტკიცეს საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები.[69]

მომდევნო სხდომებზე „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა მხარი არ დაუჭირეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს (1-ელ თებერვალს), ასევე ბიუჯეტში ცვლილებებს (11 თებერვლის სხდომაზე).[70]

---

[64] „წალენჯიხის საკრებულოს თავმჯდომარე მესამე მცდელობაზეც ვერ აირჩიეს - სხდომა 11 იანვრამდე გადაიდო“, საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა“,* 2021 წლის 23 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=123425, განახლებულია: 27.04.2022.

[65] „წალენჯიხის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა კვლავ ვერ მოხდა და სხდომა 20 იანვრამდე გადაიდო“, საინფორმაციო პორტალი *„ინტერპრესნიუსი“,* 2022 წლის 11 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Bb0sT7, განახლებულია: 27.04.2022.

[66] იქვე.

[67] წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 20 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Mtgo7M, განახლებულია: 27.04.2022.

[68] *იქვე.*

[69] წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 25 იანვარი.

[70] *იქვე,* 2022 წლის 11 თებერვალი.

რაც შეეხება სხვა თანამდებობების განაწილებას, „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ პროცესს ამ მხრივაც გამოეთიშა. საკრებულომ თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი. ამავე პარტიას წარმოადგენენ სამი კომისიის - საფინანსო, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის, აგრეთვე ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიების თავმჯდომარეებიც. საკრებულოს თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილედ კი პარტია „ლელოს“ წევრი განწესდა.[71]

2022 წლის 18 მარტს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა თაღლითობის ბრალდებით გახარიას პარტიის წევრი გელა აბულაძე დააკავა.[72] სასამართლომ მას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.[73] კანონმდებლობით, ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებულია დეპუტატისთვის უფლებამოსილების შეჩერება პატიმრობის ვადით.[74] ამ წევრის გარეშე ოპოზიციას 14 წევრი ეყოლება, რაც უმრავლესობის კვორუმისთვის საკმარისია.

წალენჯიხის საკრებულოში ვაკანტურია საკრებულოს თავმჯდომარის ერთი მოადგილის თანამდებობა, ჯერ არ აურჩევიათ არც სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა, ასევე სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეები. აღსანიშნავია, რომ ამის მიუხედავად, ეს კომისიები სხდომებს მართავენ: 22 თებერვალს იურიდიულმა კომისიამ ერთობლივი სხდომა ჩაატარა საფინანსო კომისიასთან, სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა კი 30 მარტს გაიმართა.[75] თავმჯდომარის არჩევის გარეშე კომისიის ფუნქციონირების დაწყება შესაძლებელი გახდა საკრებულოს 22 მარტის სხდომაზე დამტკიცებული ახალი რეგლამენტით.[76]

ჩხოროწყუ

ჩხოროწყუს საკრებულო შედგება 27 წევრისგან, რომელთაგან 18 - პროპორციული, ხოლო 9 მაჟორიტარული წესით არის არჩეული.[77] არჩევნების შემდეგ მანდატების თავდაპირველი განაწილება ასეთი იყო:[78]

- „ნაციონალური მოძრაობა“ - 7 წევრი (6 პროპორციული, 1 მაჟორიტარული);
- „ლელო“ - 1 წევრი (პროპორციული);

---

[71] წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EXaFEH, განახლებულია: 27.04.2022.

[72] „წალენჯიხაში გახარიას პარტიიდან საკრებულოს წევრი გელა აბულაძე დააკავეს“, საინფორმაციო პორტალი *„ფორმულა“,* 2022 წლის 28 მარტი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/67478, განახლებულია: 27.04.2022.

[73] „წალენჯიხის საკრებულოში გახარიას პარტიის წევრს გელა აბულაძეს პატიმრობა შეეფარდა“, საინფორმაციო პორტალი *„ინტერპრესნიუსი“,* 2022 წლის 30 მარტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3v1MhOT, განახლებულია: 27.04.2022.

[74] წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის N9 დადგენილებით დამტკიცებული „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-14 მუხლის მე-8 პუნქტი.

[75] წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 22 თებერვალი და 30 მარტი.

[76] წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[77] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, დანართი 1.

[78] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 ნოემბრის N49/2021 სხდომის ოქმი, დანართი 3.

- „გახარია საქართველოსთვის“ - 7 წევრი (4 პროპორციული, 3 მაჟორიტარული);
- „ქართული ოცნება“ - 12 წევრი (7 პროპორციული, 5 მაჟორიტარული).

ჩხოროწყუს საკრებულოში დამოუკიდებლად უმრავლესობა არცერთ პარტიას არ აქვს. თავმჯდომარის ასარჩევი კვორუმია 14.

3 დეკემბერს საკრებულოს სხდომაზე ახალარჩეული საკრებულოს წევრების უფლებამოსილება ცნეს. შეიქმნა ორი ფრაქცია - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.[79] ამის შემდეგ კი პარტიების „საქართველოსთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ლელოს“ წევრებმა სხდომა დატოვეს.[80] კვორუმის არარსებობის გამო, ის 9 დეკემბრისთვის გადაიდო.

9 დეკემბერს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დასახელდა ორი კანდიდატურა: ჯუმბერ იზორია („ქართული ოცნება“) და შოთა წურწუმია („გახარია საქართველოსთვის“). კენჭისყრაში მონაწილეობა 26-მა დეპუტატმა მიიღო. აქედან 13 ხმა - ჯუმბერ იზორიას, 12 კი შოთა წურწუმიას სასარგებლოდ გადანაწილდა (კვორუმი იყო 14). ერთი ბიულეტენი ბათილად ჩაითვალა.[81]

კენჭისყრის ჩატარებამდე პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წარმომადგენელ შოთა წურწუმიას ღიად გამოუცხადეს მხარდაჭერა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ლელომ“. ამიტომ შედეგების ამგვარი გადანაწილება დეპუტატებისთვის მოულოდნელი იყო.[82] ვინაიდან პირველ კენჭისყრაში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ნახევარზე მეტი - 14 ხმა, ამიტომ ფარული კენჭისყრის ხელმეორედ გამართვა გახდა საჭირო,[83] რომელშიც მონაწილეობას ერთი კანდიდატი - ჯუმბერ იზორია მიიღებდა.[84] პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წევრებმა განმეორებით კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი თქვეს და საკრებულოს სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს.[85] კვორუმის არარსებობის გამო, სხდომა 1 კვირით გადაიდო.[86]

16 დეკემბრის სხდომა კენჭისყრის პროცედურით დაიწყო. წარდგენილი იყო ერთადერთი კანდიდატი „ქართული ოცნებიდან” - ჯუმბერ იზორია, რადგან მან წინა

---

[79] ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2021 წლის 3 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/profile.php?id=100064786926860, განახლებულია: 27.04.2022.

[80] „ოპოზიციამ ჩხოროწყუს საკრებულოს სხდომა დატოვა - სხდომა გადაიდო“, საინფორმაციო პორტალი *„netgazeti.ge“*, 2021 წლის 3 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/579785/, განახლებულია: 27.04.2022.

[81] ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2021 წლის 9 დეკემბერი.

[82] „გიორგი გახარიას პარტიის წევრებმა ჩხოროწყუს საკრებულოს სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს“, საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა“,* 2021 წლის 9 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=122265, განახლებულია: 27.04.2022.

[83] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[84] „ჩხოროწყუს საკრებულომ პირველი კენჭისყრით თავმჯდომარე ვერ აირჩია“, საინფორმაციო პორტალი *„Livepress.ge“*, 2021 წლის 9 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=122230, განახლებულია: 27.04.2022.

[85] „გიორგი გახარიას პარტიის წევრებმა ჩხოროწყუს საკრებულოს სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს“, საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა“,* 2021 წლის 9 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=122265, განახლებულია: 27.04.2022.

[86] „კვორუმის არარსებობის გამო, ჩხოროწყუს საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა ერთი კვირით გადაიდო“, საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა“,* 2021 წლის 9 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=122272, განახლებულია: 27.04.2022.

სხდომაზე მეტი ხმა მიიღო. ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობდნენ „გახარია საქართველოსთვის" და „ქართული ოცნების" წარმომადგენლები (ადგილზე 19 დეპუტატი გამოცხადდა), რაც კვორუმისთვის საკმარისი იყო.[87] სხდომა „ლელოს" და „ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა დატოვეს. ისინი მიიჩნევდნენ, რომ „ლელომ" და გახარიას პარტიამ ერთადერთ კანდიდატს, „ქართული ოცნების" წარმომადგენელ ჯუმბერ იზორიას მხარი არ უნდა დაუჭირონ. „ნაციონალურ მოძრაობას" სურდა, რომ ეს კენჭისყრა გამართულიყო და იზორიას კანდიდატურა ჩავარდნილიყო.[88]

საკრებულომ ვერც ამ ცდაზე აირჩია თავმჯდომარე. კენჭისყრის პროცედურაში მხოლოდ „ქართული ოცნება" და გახარიას პარტიის წევრები მონაწილეობდნენ. კენჭისყრის შედეგად 19-იდან 7 ბათილი ბიულეტენი იყო. გახარიას გუნდმა განაცხადა, რომ ისინი მზად იყვნენ, იმავე დღეს დაეყენებინათ თავიანთი კანდიდატი შოთა წურწუმია, რომელიც ამ პოზიციაზე მათ ადრეც წარადგინეს. სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.[89] შესვენების შემდეგ, მაშინ, როცა დარბაზში მხოლოდ გახარიას პარტიის დეპუტატები იყვნენ,[90] „ნაციონალური მოძრაობის" წევრების დაბრუნებამდე, იმ დღის სხდომის უხუცესმა თავმჯდომარემ („ქართული ოცნებიდან") სხდომა დახურულად გამოაცხადა. ამის გამო, გახარიას პარტიას და „ნაციონალურ მოძრაობას" საშუალება არ მიეცათ, სხდომა გაეგრძელებინათ და კენჭისყრაზე თავიანთი კანდიდატი დაეყენებინათ.

23 დეკემბრის სხდომას 27-ვე წევრი ესწრებოდა. ოპოზიციამ კანდიდატად პარტია „გახარია საქართველოსთვის" წარმომადგენელი შოთა წურწუმია დაასახელა. „ქართული ოცნების" წევრების განცხადებით, თავად არ გეგმავდნენ კანდიდატის დასახელებას, რადგან ინფორმაცია ჰქონდათ, რომ ოპოზიცია წინასწარ შეთანხმდა. მათი თქმით, ისინი არც კენჭისყრაში არ მიიღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ სხდომაზე დარჩებოდნენ.[91] კენჭისყრის შედეგად, ჩხოროწყუს საკრებულოს თავმჯდომარედ პარტია „გახარია საქართველოსთვის" წევრი შოთა წურწუმია აირჩიეს. მას მხარი ოპოზიციამ დაუჭირა. კენჭისყრაში 15 დეპუტატი - „ნაციონალური მოძრაობის", „ლელოს" და თავად გახარიას პარტიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. 15-იდან წურწუმიამ 14 ხმა მიიღო, ერთი ბიულეტენი კი ბათილად გამოცხადდა.[92] ამავე სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩიეს „ნაციონალური მოძრაობის"

---

[87] „ჩხოროწყუს საკრებულოს სხდომა „ლელოს" და „ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა დატოვეს, საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა"*, 2021 წლის 16 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=122887, განახლებულია: 27.04.2022.

[88] *იქვე.*

[89] „ჩხოროწყუს საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე „ოცნების" კანდიდატურა ისევ ჩავარდა", საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა"*, 2021 წლის 16 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=122897 განახლებულია: 27.04.2022.

[90] „ჩხოროწყუს საკრებულოს თავმჯდომარე ისევ ვერ აირჩიეს - სხდომა ჩაიშალა", საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა"*, 2021 წლის 16 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=122931, განახლებულია: 27.04.2022.

[91] „ჩხოროწყუს საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად გახარიას პარტიის წევრს უყრიან კენჭს" საინფორმაციო პორტალი „*Livepress.ge*", 2021 წლის 23 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3sqPXr4, განახლებულია: 27.04.2022.

[92] „ნაცმოძრაობის" წევრი: სენაკში, ჩხოროწყუში, ზუგდიდში, წალენჯიხასა და რუსთავში ოპოზიციას საკრებულოს ფორმირება დამოუკიდებლად შეუძლია", საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა"*, 2021 წლის 23 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=123476, განახლებულია: 27.04.2022.

წარმომადგენელი, მოადგილედ კი „ლელოს“ წევრი.[93] კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია „ქართულ ოცნებას”, თუმცა ისინი დარბაზში იმყოფებოდნენ და კოლეგებს სხდომის გადადებისკენ მოუწოდებდნენ.[94]

საკრებულოს ახალარჩეული თავმჯდომარის შოთა წურწუმიას განცხადებით, პარტია „გახარია საქართველოსთვის“ სხვა ოპოზიციურ პარტიებთან სისტემურ ალიანსში არ იმყოფებოდა. მისივე თქმით, მოადგილეების არჩევის დროს გათვალისწინებული იქნებოდა პოლიტიკურ ძალთა ბალანსი.[95]

მოგვიანებით, ჩხოროწყუს საკრებულოს წევრმა „გახარია საქართველოსთვის” პარტიიდან ჯონი ჯალაღონიამ პარტია დატოვა. მისი თქმით, ეს იყო პრინციპული გადაწყვეტილება, ვინაიდან დარწმუნდა, რომ „ნაციონალური მოძრაობისა” და გახარიას პარტიის კოალიციური გაერთიანებით, სადაც ძირითადი ძალა სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“ იქნებოდა, წარსულში ბრუნდებოდნენ. ეს კი ამომრჩევლის დაკვეთა არ ყოფილა. ამის მიუხედავად, მან წურწუმიას კანდიდატურას მხარი დაუჭირა.[96]

12 იანვრის სხდომას არ ესწრებოდნენ „ქართული ოცნების” წარმომადგენლები. საკრებულოს 14-მა წევრმა ფარული კენჭისყრით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ პარტია „გახარია საქართველოსთვის“ მიერ წამოყენებული კანდიდატურა აირჩია.[97]

რაც შეეხება სხვა თანამდებობებს, ორი კომისიის - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, ასევე სივრცითი ტერიტორიის დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეები გახდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე კი - გახარიას პარტიის წარმომადგენელი. საფინანსო-საბიუჯეტო, ასევე ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიათა თავმჯდომარეების პოზიციები 4 მარტის სხდომაზე შეივსო და ამ თანამდებობებზე, შესაბამისად, პარტია „გახარია საქართველოსთვის“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები აირჩიეს.[98] როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა, გასულ სხდომებზე ამ ორი კომისიის თავმჯდომარეები არ აირჩიეს იმავე პარტიებიდან და „ქართული ოცნების“ ფრაქციას შესთავაზეს, თავიანთი კანდიდატურები დაესახელებინათ. თუმცა, მათ უარი განაცხადეს.[99]

---

[93] ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2021 წლის 24 დეკემბერი.

[94] „ნაცმოძრაობის” წევრი: სენაკში, ჩხოროწყუში, ზუგდიდში, წალენჯიხასა და რუსთავში ოპოზიციას საკრებულოს ფორმირება დამოუკიდებლად შეუძლია“, საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა“,* 2021 წლის 23 დეკემბერი.

[95] „სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ალიანსს არ ვქმნით - ჩხოროწყუს საკრებულოს თავმჯდომარე“, საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა“,* 2021 წლის 23 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=123433, განახლებულია: 27.04.2022.

[96] „ჩხოროწყუს საკრებულოს წევრმა გახარიას პარტია დატოვა“, საინფორმაციო პორტალი „*Livepress.ge*”, 2021 წლის 23 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/34FkJnQ, განახლებულია: 27.04.2022.

[97] ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 12 იანვარი.

[98] იქვე, 2022 წლის 4 მარტი.

[99] *იქვე.*

სენაკი

სენაკის საკრებულოში 33 წევრია - 22 პროპორციული და 11 მაჟორიტარული წესით არჩეული.[100] არჩევნების შემდეგ მანდატების გადანაწილება ასეთი იყო:[101]

- „ნაციონალური მოძრაობა“ - 13 წევრი (9 პროპორციული, 4 მაჟორიტარული);
- „გახარია საქართველოსთვის“ - 4 წევრი (პროპორციული);
- „ქართული ოცნება“ - 16 წევრი (9 პროპორციული, 7 მაჟორიტარული).

სენაკის საკრებულოში უმრავლესობა დამოუკიდებლად არცერთ პარტიას არ აქვს. თავმჯდომარის ასარჩევი კვორუმია 17.

3 დეკემბერს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას 33-იდან 32 წევრი დაესწრო.[102] საკრებულოს ახალარჩეულმა წევრმა გახარიას პარტიიდან ილია ახალაიამ (პროპორციული) საოლქო საარჩევნო კომისიას უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე განცხადებით მიმართა.[103] ის არც ამ სხდომას დასწრებია.[104] საოლქო საარჩევნო კომისიამ მისი კანდიდატურა სხვებთან ერთად წარუდგინა საკრებულოს, რომელმაც ერთიანი სიით 3 დეკემბერს მისი უფლებამოსილებაც ცნო. სხდომა 10 დეკემბრისთვის გადაიდო.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 10 დეკემბრის სხდომაზე ცნობად მიიღო საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისიის დასკვნა ფრაქციების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ და „სენაკი საქართველოსთვის“ რეგისტრაციის თაობაზე.[105] სხდომაზე არ გამოცხადდა 4 წევრი გახარიას პარტიიდან და 4 - „ნაციონალური მოძრაობიდან“, რის გამოც, მისი გაგრძელება ვეღარ მოხერხდა. შესაბამისად, ვერც საკრებულოს თავმჯდომარე აირჩიეს.[106]

17 დეკემბრის სხდომას 33-იდან 25 დეპუტატი ესწრებოდა. „ნაციონალური მოძრაობა“ გახარიას პარტიას კუთვნილ 13 ხმას სთავაზობდა, რათა პარტიას თავისი კანდიდატურა დაეყენებინა, თუმცა ისინი ამ შეთავაზებას არ დასთანხმდნენ.[107] სხდომა პარტიების გადაწყვეტილებით კვლავ გადაიდო და 24 დეკემბრისთვის დაინიშნა.

სხდომების ჩატარების მცდელობა სენაკის საკრებულოს 2021 წლის 24 და 28 დეკემბე-

---

[100] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, დანართი 1.

[101] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 ნოემბრის N49/2021 სხდომის ოქმი, დანართი 3.

[102] სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2021 წლის 3 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3sr8bZw, განახლებულია: 27.04.2022.

[103] „გახარია საქართველოსთვის“ სენაკის საკრებულოს წევრმა დეპუტატის მანდატი დატოვა“, საინფორმაციო პორტალი *„Livepress.ge“,* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rIMtk5, განახლებულია: 27.04.2022.

[104] „სენაკში საკრებულოს თავმჯდომარე ვერ აირჩიეს“, საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა“,* 2021 წლის 3 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=121676, განახლებულია: 27.04.2022.

[105] სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2021 წელის 17 დეკემბერი.

[106] „სენაკში საკრებულოს სხდომა ერთი კვირით გადაიდო - 8 წევრი სხდომაზე არ გამოცხადდა“, საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა“,* 2021 წლის 10 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=122400, განახლებულია: 27.04.2022.

[107] „ენმ-ის მხარდაჭერა გახარიას პარტიას და პარტიის უარი - რა ხდება სენაკის საკრებულოში“, საინფორმაციო პორტალი *„ბურიკ news*“, 2021 წლის 17 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rE6pVQ, განახლებულია: 27.04.2022.

რს, აგრეთვე 2022 წლის 11, 17, 24 და 31 იანვარსაც ჰქონდა, თუმცა, კვორუმის არარსებობის გამო, ვერცერთი ვერ გაიხსნა.[108] სხდომებს „ქართული ოცნების“ წევრები არ ესწრებოდნენ.

2022 წლის 9 თებერვლის სხდომაზე გამოცხადდნენ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 13 და „სენაკი საქართველოსთვის“ ფრაქციის 3 წევრი. ამ უკანასკნელს წარმოდგენილი ჰყავდა თავისი პარტიიდან კიდევ 1 წევრი, რომელსაც უნდა ჩაენაცვლებინა 17 დეკემბერს გამოკლებული დეპუტატი. ამ წევრის უფლებამოსილების ცნობამდე შეკრებილ წევრთა რაოდენობა სხდომის გახსნისთვის საჭირო კვორუმს ვერ ქმნიდა. ამის მიუხედავად, 16-მა დეპუტატმა სხდომა ჩაატარა, ვინაიდან მიიჩნიეს, რომ გრძელდებოდა 3 დეკემბრის სხდომა და უფლებამოსილების დადგენისათვის იმ თარიღის კვორუმი მოქმედებდა.[109] თავდაპირველად, მათ დააკომპლექტეს დროებითი ხმის დამთვლელი და სამანდატო კომისიების ახალი შემადგენლობები, ამის შემდეგ სამანდატო კომისიამ განიხილა „გახარია საქართველოსთვის“ პარტიის წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხი, დეპუტატებმა კი, სამანდატო კომისიის დასკვნის საფუძველზე, მისი უფლებამოსილება ცნეს. იმის გამო, რომ მომდევნო პროცედურების ჩასატარებლად საჭირო იყო ბიულეტენების ნიმუშის დამტკიცება და მასზე აპარატის წარმომადგენლის ხელმოწერა, ხოლო აპარატიდან სხდომას არავინ ესწრებოდა, შეკრებილმა წევრებმა სხდომა გადადეს იმ დროისთვის, როდესაც აპარატის უფროსი სხდომაზე დასწრებას შეძლებდა.[110]

9 თებერვლის სხდომამ პარტიებსა და საზოგადოებას შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. „ქართული ოცნება“ მიიჩნევდა, რომ სხდომა არ იყო უფლებამოსილი, ვინაიდან ამისთვის საჭირო იყო 17 წევრის შეკრება.[111] ოპონენტები კი აპელირებდნენ, რომ ეს იყო 3 დეკემბრის სხდომის გაგრძელება, რომელსაც 32 წევრი ესწრებოდა და ახლაც სწორედ ის კვორუმი მოქმედებდა.[112]

მომდევნო სხდომა 2022 წლის 23 თებერვალს გაიმართა. სხდომის დაწყებამდე „ქართული ოცნების“ წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი 9 თებერვალს მიღებულ გადაწყვეტილებებს სასამართლოში გაასაჩივრებდნენ.[113] იმავე დღეს ცნობილი გახდა, რომ სენაკის რაიონულმა სასამართლომ მიიღო განჩინება სენაკის საკრებულოს 9 თებერვლის გადაწყვეტილებების შეჩერების თაობაზე.[114]

---

[108] იხ. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი.

[109] „გადაწყვეტილება კვორუმის გარეშე? - რა მოხდა სენაკის საკრებულოში“, საინფორმაციო პორტალი *„რადიო თავისუფლება“*, 2022 წლის 10 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kiE176, განახლებულია: 27.04.2022.

[110] 2022 წლის 9 თებერვლის საკრებულოს სხდომა გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში საინფორმაციო პორტალი „ეგრისი tv-ის“ facebook-გვერდზე, თუმცა ამ სხდომის ჩანაწერი ამ დროისთვის საიტზე აღარ იძებნება.

[111] „მამუკა მდინარაძე - სენაკის საკრებულოში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მასთან შეზრდილმა გახარიას პარტიამ მიიჩნიეს, რომ გადაწყვეტილებების მიღება 16 დეპუტატითაც შეიძლება“, *„პირველი არხი“,* 2022 წლის 10 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tibpPk, განახლებულია: 27.04.2022.

[112] „გადაწყვეტილება კვორუმის გარეშე? - რა მოხდა სენაკის საკრებულოში“, საინფორმაციო პორტალი *„რადიო თავისუფლება“*, 2022 წლის 10 თებერვალი.

[113] „ქართული ოცნება“ სასამართლოს მიმართავს - სენაკის საკრებულოში დავა გრძელდება“, საინფორმაციო პორტალი *„netgazeti.ge“,* 2022 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/592988/, განახლებულია: 27.04.2022.

[114] სენაკის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვლის N2/22-2022 განჩინება „სარჩელის

მომდევნო, 23 თებერვლის სხდომას ესწრებოდნენ „ნაციონალური მოძრაობისა“ და „გახარია საქართველოსთვის“ პარტიების წარმომადგენლები. სხდომაზე თავდაპირველად ისაუბრა აპარატის უფროსმა საკრებულოში არსებულ კრიზისსა და აპარატის თანამშრომლების მიმართ ზეწოლაზე, რის გამოც იგი თანამდებობას ტოვებდა.[115] შესვენების შემდეგ დეპუტატებმა ცვლილება შეიტანეს სენაკის საკრებულოს განკარგულებაში, რომლითაც საკრებულოს თანამდებობის პირთა ასარჩევად გამოსაყენებელ ბიულეტენებზე აღარ იქნებოდა საჭირო აპარატის უფროსის ხელმოწერა და ბეჭედი, არამედ მას ხელს მხოლოდ საკრებულოს სხდომის წამყვანი უხუცესი წევრი მოაწერდა. ამის შემდეგ მათ ჩაატარეს კენჭისყრა საკრებულოს თავმჯდომარის ასარჩევად.[116] კანდიდატურა მხოლოდ „გახარია საქართველოსთვის“ პარტიამ წამოაყენა. დეპუტატებმა 23 თებერვლის სხდომაზე 17 ხმით თავმჯდომარედ აირჩიეს ირაკლი კაჭარავა.[117] თუმცა, სენაკის რაიონულმა სასამართლომ, „ქართული ოცნების“ 23 თებერვლის სარჩელის საფუძველზე, ამ გადაწყვეტილების მოქმედებაც შეაჩერა.[118]

რუსთავი

რუსთავის საკრებულოში 35 წევრია, 25 პროპორციული და 10 მაჟორიტარული წესით არჩეული.[119] არჩევნების შემდეგ მანდატების გადანაწილება ასეთი იყო:[120]

- „ნაციონალური მოძრაობა“ - 16 წევრი (13 პროპორციული, 3 მაჟორიტარული);
- „გახარია საქართველოსთვის“ - 3 წევრი (პროპორციული);
- „ქართული ოცნება“ - 16 წევრი (12 პროპორციული, 4 მაჟორიტარული).

არც ამ საკრებულოში ჰყავს უმრავლესობა დამოუკიდებლად რომელიმე პარტიას. თავმჯდომარის ასარჩევი კვორუმი 18-ია.

პირველ სხდომაზე, 2021 წლის 3 დეკემბერს, ყველა წევრის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატებად დასახელდნენ მამუკა

აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ“. აგრეთვე, „სასამართლომ სენაკის საკრებულოს თავმჯდომარეს უფლებამოსილება არჩევიდან რამდენიმე საათში შეუჩერა“, 2022 წლის 23 თებერვალი, საინფორმაციო პორტალი *„for.ge“,* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3HtbVPq, განახლებულია: 27.04.2022.

[115] „სენაკის საკრებულოს აპარატის უფროსი პოსტს ტოვებს“, საინფორმაციო პორტალი „netgazeti.ge“, 2022 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/592966/, განახლებულია: 27.04.2022.

[116] 2022 წლის 23 თებერვლის საკრებულოს სხდომა გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში საინფორმაციო პორტალი „ეგრისი tv-ის“ facebook-გვერდზე, თუმცა ამ სხდომის ჩანაწერი ამ დროისთვის საიტზე აღარ იძებნება.

[117] „სენაკის საკრებულოს თავმჯდომარედ პარტია „საქართველოსთვის“ წევრი ირაკლი კაჭარავა აირჩიეს“, *პირველი არხი,* 2022 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39mr89V, განახლებულია: 27.04.2022.

[118] სენაკის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 7 მარტის N3/23 განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღების, დასაშვებად ცნობის და ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ (საქმე N240310122005548204); აგრეთვე, „სასამართლომ სენაკის საკრებულოს თავმჯდომარეს უფლებამოსილება არჩევიდან რამდენიმე საათში შეუჩერა“, საინფორმაციო პორტალი *„for.ge“,* 2022 წლის 23 თებერვალი.

[119] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, დანართი 1.

[120] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 ნოემბრის N49/2021 სხდომის ოქმი, დანართი 3.

რეხვიაშვილი („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი) და ნოდარ შეროზია („გახარია საქართველოსთვის“ წევრი).[121] „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავმჯდომარეობის კანდიდატი არ დაასახელა. როგორც ამ პარტიიდან რუსთავის საკრებულოს წევრმა ალექსანდრე ბერიძემ განაცხადა, გარკვეული კონსულტაციების გავლის შემდეგ, რომლებიც წინასაარჩევნო დაპირების შესრულების ხელშეწყობას ეხება, ისინი მზად იქნებოდნენ, მხარი დაეჭირათ „გახარია საქართველოსთვის“ კანდიდატ ნოდარ შეროზიასთვის.[122]

თავმჯდომარის ასარჩევად გამართულ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა და სხდომა დატოვეს.[123] მათ განაცხადეს, რომ „გახარია საქართველოსთვის“ წარმომადგენლებს მოლაპარაკებისთვის საკრებულოს სხდომათა დარბაზის გარეთ დაელოდებოდნენ. თუმცა, საკრებულოს წევრმა გახარიას პარტიიდან აღნიშნა, რომ ისინი არცერთ პოლიტიკურ ძალასთან მოლაპარაკებას არ აპირებდნენ, ხოლო, თუკი მოლაპარაკება გაიმართებოდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ღია ფორმატში მოხდებოდა.[124]

3 დეკემბერს გამართული კენჭისყრის შედეგების მიხედვით, 16 ხმა მიიღო „ქართული ოცნების“, ხოლო 3 - „გახარია საქართველოსთვის“ კანდიდატმა.[125] ვინაიდან საჭირო 18 ხმა ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა, პირველ ტურში თავმჯდომარის არჩევა ვერ მოხერხდა.

განმეორებით კენჭისყრაში მონაწილეობდა პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი. თუმცა, კენჭისყრის პროცედურის დაწყებამდე პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წევრებმა რუსთავის საკრებულოს სხდომა დატოვეს. მათი თქმით, ამის მიზეზი ის იყო, რომ არც „ქართულ ოცნებას“ და არც „ნაციონალურ მოძრაობას“ დაბალანსებული მმართველობა არ სურდათ, ისინი საკუთარ ვიწროპარტიულ ინტერესებს და ერთპიროვნული მმართველობის სურვილს ვერ თმობდნენ.[126] მათ მიერ სხდომის დატოვების შემდეგ კენჭისყრის გასამართად საკმარისი კვორუმი აღარ იყო. შედეგად, სხდომა შეწყდა.

მომდევნო სხდომა 2022 წლის 31 იანვარს გაიმართა. „ქართული ოცნების“ წევრებმა თავმჯდომარის არჩევნების მეორე ტურისთვის თავიანთი კანდიდატი მოხსნეს, რის შემდეგაც კანდიდატურა განმეორებით დაასახელა მხოლოდ „გახარია საქართველო-

---

[121] ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მეშვიდე მოწვევის საკრებულოს სხდომის ოქმი N1, 2021 წლის 3 დეკემბერი.

[122] „ვინ არიან რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატები“, 2021 წლის 3 დეკემბერი, საინფორმაციო პორტალი „*Info rustavi*”, ხელმისაწვდომია: https://inforustavi.ge/?m=31&news_id=25611, განახლებულია: 27.04.2022.

[123] „საკრებულოს სხდომა „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატების გარეშე განახლდა“, საინფორმაციო პორტალი „*tv4*”, 2021 წლის 3 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/34MqNe4, განახლებულია: 27.04.2022.

[124] „რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრა დაიწყო“, 2021 წლის 3 დეკემბერი, საინფორმაციო პორტალი „Info rustavi”, ხელმისაწვდომია: https://inforustavi.ge/index.php?m=31&news_id=25614, განახლებულია: 27.04.2022.

[125] ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მეშვიდე მოწვევის საკრებულოს სხდომის ოქმი N1, 2021 წლის 3 დეკემბერი.

[126] „პარტიამ „საქართველოსთვის” საკრებულოს სხდომა დატოვა“, საინფორმაციო პორტალი „*tv4*”, 2021 წლის 3 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uCa2NY, განახლებულია: 27.04.2022.

სთვის“ პარტიამ (მათ იგივე კანდიდატი წამოაყენეს, რომელიც პირველ ტურზე დასახელდა). კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო „ქართულმა ოცნებამ“. ნოდარ შეროზიას კანდიდატურას მხარი 18-მა წევრმა დაუჭირა, რაც თავმჯდომარის ასარჩევად საკმარისი აღმოჩნდა.[127]

იმავე დღეს შემდეგი პროცედურები თავმჯდომარის მოადგილეების ასარჩევად გაიმართა. პირველ მოადგილედ საკრებულომ „ნაციონალური მოძრაობის“, მოადგილედ კი გახარიას პარტიის წევრი აირჩია. საკრებულოში ასევე დარეგისტრირდა 3 ფრაქცია: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „რუსთავი საქართველოსთვის“. ამავე სხდომაზე საკრებულოს ორმა წევრმა (ორივე „ქართული ოცნებიდან“) მანდატის დატოვების თაობაზე განაცხადა.

საკრებულოს მომდევნო სხდომა 8 თებერვალს გაიმართა, რომელზეც 2 ახალი დეპუტატის უფლებამოსილება ცნეს, აგრეთვე აირჩიეს საკრებულოს თავმჯდომარის მესამე მოადგილე „ნაციონალური მოძრაობიდან“. „ქართულმა ოცნებამ“ არც ამ თანამდებობაზე დააყენა თავისი კანდიდატურა.[128]

14 თებერვალს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დამტკიცდა და განისაზღვრა კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები. საკრებულოს კომისიებში ფრაქციები „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ოთხ-ოთხი წევრით არიან წარმოდგენილნი, ხოლო ფრაქცია „რუსთავი საქართველოსთვის“ - 1 წევრით.[129] 28 თებერვალს კომისიათა შემადგენლობები დაამტკიცეს.[130]

მომდევნო, 11 მარტის სხდომაზე საკრებულომ სოციალურ საკითხთა კომისიის, ასევე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეთა თანამდებობებზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები აირჩიეს.[131] ამ პოზიციებზე, შეთავაზების მიუხედავად, „ქართულ ოცნებას“ კანდიდატურები არ დაუყენებია. 21 მარტის სხდომაზე საკრებულომ დარჩენილი სამი კომისიის თავმჯდომარეები აირჩია. სამივე თანამდებობაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები განწესდნენ. „ქართულ ოცნებას“, შეთავაზების მიუხედავად, არც ამ პოზიციებზე წარმოუდგენია თავისი კანდიდატურები და არც კენჭისყრაში მიუღია მონაწილეობა.[132]

შეჯამება

6 საკრებულოში არსებულმა ფაქტობრივმა ვითარებამ აჩვენა, რომ კრიზისის მთავარი მიზეზი პარტიებს შორის კონსენსუსის მიუღწევლობა იყო. ამის გამო, საკრებულოების სხდომები არაერთხელ ჩაიშალა, თანამდებობის პირების აურჩევლობამ

[127] ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 31 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/Rustavi.Sakrebulo, განახლებულია: 27.04.2022.
[128] ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 8 თებერვალი.
[129] *იქვე,* 14 თებერვალი.
[130] *იქვე,* 28 თებერვალი.
[131] *იქვე,* 11 მარტი.
[132] *იქვე,* 21 მარტი.

კი წარმომადგენლობითი ორგანოების ფუნქციონირება რამდენიმე თვის მანძილზე შეაფერხა. არაერთი მცდელობის შემდეგ ცალკეულ პარტიას შორის შეთანხმების შედეგად, მხოლოდ 4-მა საკრებულომ შეძლო მუშაობის დაწყება. „ქართული ოცნება“ ყველგან გამოეთიშა როგორც თანამდებობათა გადანაწილების პროცესს, ისე მიმდინარე საკითხებში მონაწილეობას. კრიზისი კვლავ გრძელდება სენაკისა და ბათუმის საკრებულოებში. მისი დასრულება აქაც კონსენსუსზეა დამოკიდებული, ვინაიდან, თუ ორივე საკრებულოში სხდომის ლეგიტიმაციის კვორუმი არ შედგება, ახალ წევრებს ვერ დაიმატებენ და ვერც თავმჯდომარის არჩევამდე მივლენ.

შეხვედრები საკრებულოების წევრებთან

კრიზისის გადალახვისთვის პარტიებს შორის კონსენსუსის ნაკლებობა გამოიკვეთა ასევე მათ წარმომადგენლებთან კომუნიკაციის შედეგად. კერძოდ, საიამ 2021 წლის დეკემბერში შეხვედრები გამართა ბათუმის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და სენაკის საკრებულოს წევრებთან. შეხვედრების მიზანი იყო საკრებულოებში არსებული სიტუაციისა და შესაბამისი ფრაქციების/პარტიების ხედვების გაცნობა არსებული კრიზისის დაძლევასთან დაკავშირებით. როგორც მათთან საუბრიდან გამოიკვეთა, „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თანამშრომლობას გამორიცხავდნენ. ორივე პარტია კრიზისის შექმნაში ერთმანეთს ადანაშაულებდა, თუმცა კონსენსუსზე არცერთი არ თანხმდებოდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ კრიზისის დასრულების გასაღები „გახარია საქართველოსთვის“ პარტიის ხელში იყო. „ნაციონალური მოძრაობის“ აზრით, ამ მუნიციპალიტეტებში მოსახლეობამ გადაწყვიტა, რომ „ქართული ოცნება“ უმრავლესობაში არ ყოფილიყო, ამიტომ საკრებულოში პოზიციები სწორედ ხალხის ნების მიხედვით უნდა გადანაწილებულიყო. ისინი არც მიღებულ მანდატთა შესაბამისად თანამდებობათა პროპორციულ განაწილებას ემხრობოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპი მათთვის, ზოგადად, მისაღები იყო, კონფიგურაციაზე შეთანხმებას არ ცდილობდნენ.

რაც შეეხება გახარიას პარტიას, ყველა საკრებულოში მათი ხმა გადამწყვეტი აღმოჩნდა. ამ პარტიის წევრები მუდმივ კოალიციაში ყოფნას რომელიმე სხვა პარტიასთან გამორიცხავდნენ და მხოლოდ ცალკეულ საკითხებზე კოლაბორაციას თანხმდებოდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მათ დააზარალებდა როგორც „ნაციონალურ მოძრაობასთან“, ისე „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობა, ვინაიდან ეს პოლიტიკური ძალები მოსახლეობაში მათი პარტიის სახელის შელახვას ცდილობდნენ. ამასთანავე, მათთვის მიუღებელი იყო, რომ კრიზისულ სიტუაციაში სწორედ ისინი უნდა ყოფილიყვნენ მომრიგებლები. მათი აზრით, სხვა პარტიებსაც ამ პროცესში თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ.

საკრებულოს თანამდებობის პირები და მათი ფაქტობრივი გადანაწილება 2021 წლის მოწვევის საკრებულოებში

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, საკრებულოების პირველ შეკრებამდე, პარლამენტმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების რაოდენობა გაზარდა. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ახალი რედაქციის მიხედ-

ვით, საკრებულოს თავმჯდომარეს შეუძლია, ჰყავდეს სამი მოადგილე, მათ შორის, პირველი მოადგილეც. მათ საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით, თავისი შემადგენლობიდან, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით აირჩევს საკრებულო.[133]

ამ კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, საკანონმდებლო ცვლილების მიზანი იყო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის ფუნქცია-მოვალეობათა განაწილების გამარტივება, მენეჯმენტის დახვეწა და საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა.[134] პლენარულ სხდომაზე განხილვისას, დამატებით, გამოიკვეთა დარგობრივი მიმართულებების ან ტერიტორიის მიხედვით საკურატორო სფეროს ეფექტიანი გადანაწილების მიზანიც.[135] კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ირაკლი ზარქუას განმარტებით, მოადგილეთა შტატების დამატება ოპოზიციის როლს გაზრდიდა, რადგან ორგანული კანონი თითოეულ საკრებულოს აძლევდა შესაძლებლობას, თავად განესაზღვრა კვოტირება (რეგლამენტით ან პრაქტიკაში).[136] ამის მიუხედავად, პლენარულ სხდომაზე განხილვისას ინიციატორმა უარი განაცხადა თავმჯდომარის მოადგილეების წარდგენის კვოტირების დადგენაზე (ოპოზიციისთვის ყოფილიყო ერთ-ერთი მოადგილის პოზიცია, როგორც ეს პარლამენტშია).[137] სხვა დასაბუთება მოადგილეთა რაოდენობის გაზრდას არ მოჰყოლია. შესაბამისად, კოდექსითვე გაიწერა, რომ სამივე მოადგილის კანდიდატურას საკრებულოს თავმჯდომარე წარადგენს თავისი ინიციატივით.

როგორც წინა თავში აღწერილი ფაქტობრივი ვითარებიდან გამოირკვა, 4 საკრებულოში, სადაც უკვე აირჩიეს თავმჯდომარეები, მოადგილეებად იმ პარტიის წარმომადგენლები განწესდნენ, რომლებმაც თავმჯდომარის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს. წალენჯიხასა და ზუგდიდში თითო მოადგილის პოზიცია ამ დრომდე ვაკანტურია.

რაც შეეხება სხვა მუნიციპალიტეტებს, „ქართული ოცნების“ პარტიიდან საკრებულოს თავმჯდომარეს თითო მოადგილე, რომელიც სხვა პარტიის წარმომადგენელია, მხოლოდ დმანისსა და მარტვილში ჰყავს (დმანისში პირველ მოადგილედ დამოუკიდებელი დეპუტატია არჩეული, მარტვილში კი - „ევროპელი სოციალისტების“ წევრი). ესეც იმის გათვალისწინებით, რომ ამ პირებმა მხარი დაუჭირეს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქაც მსგავსი კრიზისი შეიქმნებოდა. დანარჩენ მუნიციპალიტეტებში საკრებულოს თავმჯდომარეებიც და მათი 3 მოადგილეც „ქართული ოცნების“ წევრები არიან.

---

[133] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[134] განმარტებითი ბარათი ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, 07-3/116/10, 3.11.2021, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/22966, განახლებულია: 27.04.2022.

[135] ორგანული კანონის პროექტის განხილვის აუდიოჩანაწერი (პირველი მოსმენა), „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 07-3/116/10, 3.11.2021, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/22966, განახლებულია: 27.04.2022.

[136] რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის სხდომის ჩანაწერი და სხდომის ოქმი (გვ. 6), პირველი მოსმენა, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/22966, განახლებულია: 27.04.2022.

[137] *იქვე.*

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით საიამ 2021 წლის ნოემბერში პარლამენტს მოსაზრებები წარუდგინა[138] და პოზიცია საკომიტეტო მოსმენებზეც გამოხატა. ორგანიზაცია მიიჩნევდა, რომ მოადგილეთა რაოდენობის გასამმაგება მხოლოდ თანამდებობათა ხელოვნურ ზრდას ემსახურებოდა და იმ პირობებში, როდესაც საკრებულოს ჰყავს დარგობრივ მიმართულებებზე მომუშავე კომისიები, თავმჯდომარეები და ასევე მაჟორიტარი დეპუტატები, სპიკერატში პოზიციების დამატება მხოლოდ ხარჯებს გაზრდიდა. აღმოჩნდა, რომ პოლიტიკურ ძალთა შორის ამ თანამდებობათა გადანაწილების პრაქტიკამ მხოლოდ იმ მუნიციპალიტეტებში იმუშავა, სადაც საკრებულოს თავმჯდომარის არჩევაში ერთზე მეტი პარტიის მონაწილეობა გახდა საჭირო. არცერთ საკრებულოს რეგლამენტის დონეზე არ დაუდგენია თავმჯდომარის მოადგილეთა პარტიული კვოტირება. ამდენად, ამ ცვლილებას პოლიტიკურ ძალთა დაბალანსების ნაწილში ქვეყნის მასშტაბით წვლილი თითქმის არ შეუტანია და მისი ხელოვნურობა დასაწყისშივე ცხადი იყო. **საიას მოსაზრებით, საკრებულოში თავმჯდომარის 1 მოადგილეც საკმარისია და ამ პოსტზე თავმჯდომარის პარტიისგან განსხვავებული პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი უნდა აირჩეს.**

რაც შეეხება ფრაქციებში თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობას, 2021 წლის ნოემბერში ამ მიმართულებითაც გაიზარდა შტატები. ნაცვლად ყოველ მეცხრე წევრზე ერთი დამატებითი მოადგილისა, ფრაქციებს უფლება მიეცათ, ყოველ მე-3 წევრზე დაენიშნათ დამატებით 1 მოადგილე.[139] მიუხედავად იმისა, რომ მაქსიმალური რაოდენობა კოდექსმა 7-ით შემოსაზღვრა, საკრებულოების დიდ ნაწილში „ქართული ოცნების“ ფრაქციას 6 ან 7 მოადგილე ჰყავს. თანამდებობის პირთა ამგვარი ზრდის შედეგად, საკრებულოების უმეტესობაში მათი სრული შემადგენლობის, დაახლოებით, 70%-ს თანამდებობის პირის სტატუსი აქვს (კიდევ უფრო მაღალია თანამდებობის პირთა წილი „ქართული ოცნების“ ფრაქციის წევრებში).

ანალოგიური სურათი გამოიკვეთა კომისიების თავმჯდომარეებთან მიმართებითაც. კერძოდ, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც, პოლიტიკურ ძალთა კონფიგურაციის გამო, საჭირო გახდა პარტიებს შორის თანამშრომლობა, კომისიების თავმჯდომარეთა პორტფელებიც იმ პარტიებს შორის განაწილდა, რომლებიც საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობდნენ. დანარჩენ მუნიციპალიტეტებში კი 5-ვე კომისიის თავმჯდომარეების პოზიციები „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს უკავიათ.[140]

[138] „საია საკრებულოებში თანამდებობის პირთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდას არ ეთანხმება“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2021 წლის 18 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3HrJBgs, განახლებულია: 27.04.2022.

[139] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 38-ე მუხლი.

[140] უცნობია კომისიის თავმჯდომარეთა ვინაობა და პარტიულობა თეთრიწყაროში, თერჯოლაში, მარნეულში, ყაზბეგსა და შუახევში. ამ მუნიციპალიტეტებს არც საჯარო ინფორმაცია მოუწოდებიათ და არც ოფიციალურ ვებგვერდებზე აქვთ გამოქვეყნებული განახლებული მონაცემები.

6 საკრებულოს რეგლამენტების ანალიზი[141] და პრაქტიკა

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად დაკომპლექტებულ საკრებულოთა ნაწილში წარმოიქმნა კრიზისი, რომელიც, ძირითადად, პოლიტიკური კონსენსუსის ნაკლებობამ გამოიწვია. წარმომადგენლობითმა ორგანოებმა, პოლიტიკურ ძალთა კონფიგურაციის მიზეზით, თავმჯდომარე ვერ აირჩიეს და, აქედან გამომდინარე, ვერც სხვა საკითხების განხილვას ახერხებდნენ (რამდენიმე მათგანი დღემდე ვერ ახერხებს). უკვე 5 თვეა, 2 საკრებულო, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებს. ამ ქვეთავის მიზანია, გამოკვეთოს, რა გამოსავალი შეიძლება არსებობდეს პოლიტიკური კონსენსუსის მიღმა, რომელიც ხელს შეუწყობდა ახალარჩეული ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების გამართულ ფუნქციონირებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით არ არის გაწერილი ამომწურავი პროცედურები საკრებულოებთან მიმართებით. ეს მინდობილია თითოეული საკრებულოს რეგლამენტზე. ამ აქტებით თითქმის ერთმანეთის მსგავსად არის მოწესრიგებული დეტალები. თუმცა, ზოგიერთი რეგლამენტი ზოგიერთ ასპექტს უფრო ნათლად არეგულირებს, ვიდრე სხვები. ქვემოთ მოცემულია ის საკითხები, რომლებიც პრობლემური გახდა 2021 წლის მოწვევის საკრებულოების საქმიანობის პირველივე ეტაპზე. ასევე შემოთავაზებულია მათი გადაჭრის გზები.

ბიუჯეტის მიღებაზე უფლებამოსილი საკრებულო

პირველი პრობლემა, რომელიც ახალარჩეულ საკრებულოებთან მიმართებით წარმოიშვა, იყო ის, თუ ვის უნდა დაემტკიცებინა მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით არ არის გათვალისწინებული, რომ ახალი საკრებულოს არჩევის შემდეგ წინა მოწვევის საკრებულოს სხდომები არ ტარდება (როგორც ეს პარლამენტის შემთხვევაშია[142]).

არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, სანამ ახალარჩეული საკრებულოების პირველი სხდომები დაინიშნებოდა და გაიმართებოდა, ბათუმში, რუსთავში, ზუგდიდში, სენაკში, ჩხოროწყუსა და მარტვილში მომდევნო წლის ბიუჯეტები წინა მოწვევის საკრებულოებმა განიხილეს და დაამტკიცეს.[143] 2022 წლის ბიუჯეტი მხოლოდ წალენჯიხაში მიიღო საკრებულოს ახალმა შემადგენლობამ.[144] საზოგადოებაში წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა წინა მოწვევის საკრებულოს ბიუჯეტის დამტკიცების უფლება მაშინ, როცა უკვე ახალი იყო არჩეული.

---

[141] დოკუმენტის ფარგლებში განხილულია რელევანტური დებულებები 6 მუნიციპალიტეტის საკრებულოს - ბათუმის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, სენაკისა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტებიდან.

[142] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 88-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

[143] „ბათუმში, ზუგდიდში, სენაკში, ჩხოროწყუსა და მარტვილში 2022 წლის ბიუჯეტი დაამტკიცეს“, საინფორმაციო პორტალი *„თვითმმართველობის დროა“,* 2021 წლის 26 ნოემბერი; „რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა“, საინფორმაციო პორტალი *„tv4“*, 2021 წლის 25 ნოემბერი.

[144] „წალენჯიხის საკრებულომ მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა“, საინფორმაციო პორტალი *„რეგიონული კვირა“,* 2022 წლის 1-ლი თებერვალი, ხელმისაწვდომია: http://region.kvira.ge/77529/, განახლებულია: 27.04.2022.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მისაღებად ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით შემდეგი გრაფიკია დადგენილი: პროცესი იწყება არაუგვიანეს 15 ნოემბრისა, როცა მერი საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს. ამის შემდეგ პროექტი ქვეყნდება, შემდეგ კი საჯაროდ განიხილება საკრებულოში. გათვალისწინებულია შენიშვნებით პროექტის მერისთვის დაბრუნებაც და შემდეგ გადამუშავებული ვარიანტის წარდგენა. თითოეული ამ პროცედურისთვის კოდექსი მხოლოდ ყველაზე გვიან თარიღებს განსაზღვრავს და არ ადგენს შეზღუდვას უფრო ადრე წარდგენისთვის. საბოლოოდ, საკრებულო ბიუჯეტს იღებს ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე.[145]

როგორც ჩანს, მითითებულ საკრებულოებში წინასწარ გაჩნდა იმის საშიშროება, რომ შეიძლებოდა ბიუჯეტი ვერ დაემტკიცებინათ, ან ის სხვა პარტიულ შემადგენლობას მიეღო. ამის თავიდან ასაცილებლად, მომავალი წლის ბიუჯეტი წინა მოწვევის (ჯერ კიდევ არსებულმა) საკრებულოებმა დაამტკიცეს. მართალია, ეს ქმედება კანონმდებლობის მოთხოვნებს არ არღვევდა, თუმცა, მეორე მხრივ, სადავოა მისი მიზანშეწონილობა - რამდენად მართებულია, ახალი საკრებულოების არჩევის პირობებში მომავალი წლის ბიუჯეტი წინა მოწვევის, ფაქტობრივად, ვადაგასულმა საკრებულომ მიიღოს. სავარაუდოა, რომ ამით მუნიციპალიტეტმა თავიდან აირიდა ბიუჯეტთან დაკავშირებული შესაძლო კრიზისი, თუმცა, ცხადია, ეს ვერ იქნება ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური კონსენსუსის საპირწონე გამოსავალი.

პირველი სხდომის დღის წესრიგი და საკითხების თანმიმდევრობა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე განსახილველ საკითხებზე საკმაოდ მწირ ჩანაწერს შეიცავს. კერძოდ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომას ხსნის შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. სხდომებს საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება საკრებულოს უხუცესი წევრი.[146] ასევე აუცილებელია წევრთა უფლებამოსილების ცნობა, რათა ახალარჩეული საკრებულოს პირველი შეკრება ოფიციალურად გაფორმდეს, ხოლო წინას უფლებამოსილება შეწყდეს.[147] იქვე განისაზღვრება პროცედურა, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ, სულ მცირე, 2/3-ის უფლებამოსილება არ იქნება ცნობილი.[148] სხვა პროცედურული საკითხები უკვე თითოეული საკრებულოს რეგლამენტზეა დელეგირებული.

ბათუმის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, სენაკისა და რუსთავის საკრებულოების რეგლამენტები[149] თითქმის ერთნაირად ადგენს პირველი სხდომის დღის წეს-

---

[145] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 91-ე მუხლი.

[146] *იქვე,* 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[147] *იქვე,* მე-3 პუნქტი.

[148] *იქვე,* მე-4 და მე-5 პუნქტები.

[149] ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის N34 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის საკრებულოს რეგლამენტი“; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებული „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულება (რეგლამენტი)“, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის N7 დადგენილებით დამტკიცებული „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულება (რეგლამენტი)“, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის N9 დადგენილებით დამტკიცებული „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი“, სენაკის მუნიციპალიტეტის

რიგსა და საკითხთა თანმიმდევრობას. პირველ სხდომას ხსნის შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ამის შემდეგ კი, საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე, საკრებულოს სხდომებს უძღვება სხდომაზე დამსწრე წევრთაგან უხუცესი.[150] პროცედურების თანმიმდევრობა შემდეგნაირადაა განსაზღვრული:[151]

ა) საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება;

ბ) დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა (გარდა ბათუმისა, სადაც ამ ფუნქციას სამანდატო დროებითი კომისია ითავსებს[152]);

გ) სამანდატო დროებითი კომისიის არჩევა;

დ) საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობა;

ე) საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა;

ვ) საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) არჩევა;

ზ) ფრაქციათა რეგისტრაცია/დაფუძნების ცნობად მიღება (გარდა ბათუმისა);

თ) საკრებულოს რეგლამენტის მიღება (წალენჯიხა[153]);

ი) საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა და დამტკიცება (გარდა ბათუმისა);

კ) საკრებულოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების არჩევა (გარდა რუსთავისა).

აღსანიშნავია, რომ, ბათუმის გარდა, ყველა საკრებულოს რეგლამენტი უშვებს გამონაკლისს, რომ საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე პირველ სხდომაზე შესაძლოა მხოლოდ ფრაქციები დაფუძნდეს და დარეგისტრირდეს.[154] რაც შეეხება ბათუმს, მისი რეგლამენტი უშვებს საკრებულოს მიერ პირველი სხდომის დღის წესრიგის კორექტირებას.[155] ამდენად, ბათუმის საკრებულოსაც შეუძლია, ფრაქციების დაფუძნების საკითხი თავმჯდომარის არჩევამდე გადაწყვიტოს. თუმცა, ის ვერ გადაანაცვლებს კოდექსით დადგენილ იმ ლოგიკურ ჯაჭვს, რომლის მიხედვითაც, თავდაპირველად საკრებულომ წევრთა უფლებამოსილება უნდა ცნოს, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები თავმჯდომარეზე ადრე არ უნდა აირჩიოს. მსგავსი შესაძლებლობაა რუსთავშიც, სადაც ფრაქციების დაფუძნების შემდეგ კომისიებში ფრაქციათა წარმო-

---

საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის N17 დადგენილებით დამტკიცებული „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულება (რეგლამენტი)“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი“.

[150] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ზუგდიდის, ჩხოროწყუსა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი, წალენჯიხისა და სენაკის საკრებულოთა რეგლამენტების 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[151] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 41-ე და 43-ე მუხლები, ზუგდიდის, ჩხოროწყუსა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების 41-ე და 46-ე მუხლები, წალენჯიხისა და სენაკის საკრებულოთა რეგლამენტების 43-ე და 48-ე მუხლები.

[152] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 41-ე მუხლი.

[153] წალენჯიხის საკრებულოს რეგლამენტის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

[154] ზუგდიდის საკრებულოს რეგლამენტის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ჩხოროწყუსა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების 46-ე მუხლის მე-3 პუნქტი, წალენჯიხის საკრებულოს რეგლამენტის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი, სენაკის საკრებულოს რეგლამენტის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[155] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 43-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

მადგენლობის კვოტები მტკიცდება.[156] შესაბამისად, თუ ფრაქციების დაფუძნება თავმჯდომარის არჩევამდეა შესაძლებელი, მაშინ კვოტების დამტკიცებაც თავმჯდომარის არჩევამდე გადაინაცვლებს. ეს დღის წესრიგის ლოგიკურ თანმიმდევრობას არ არღვევს.

კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები

კიდევ ერთი პროცედურა, რომელიც საკრებულოების პირველი სხდომის დღის წესრიგში ხვდება, არის კომისიებში ფრაქციათა წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა.[157] მისი მიზანია კომისიების დაკომპლექტება ფრაქციების მიერ.

აღსანიშნავია, რომ კომისიების დაკომპლექტებისა და კომისიის თავმჯდომარის არჩევის წესი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით 2021 წლის ნოემბერში შეიცვალა. მანამდე კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატები ირჩევდნენ საკრებულოს შემადგენლობიდან, შემდგომ კი ეს პირი წარადგენდა კომისიის შემადგენლობას დასამტკიცებლად. ცვლილების შემდეგ ეს პროცედურა პარლამენტის მსგავსად ჩამოყალიბდა: ჯერ იქმნება ფრაქციები, შემდეგ მტკიცდება კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, ფრაქციები კომისიებში ნიშნავენ წევრებს, შემდეგ განისაზღვრება კომისიების პერსონალური შემადგენლობები და სწორედ ამ შემადგენლობიდან ირჩევს საკრებულო კომისიის თავმჯდომარეს.[158] განსახილველი საკრებულოებიდან რუსთავმა,[159] წალენჯიხამ[160] და ზუგდიდმა[161] ეს ცვლილებები თავიანთ რეგლამენტებში ასახეს. თუმცა, ცალკეულ ნორმებში ჯერ კიდევ ჩარჩენილია ძველი წესები,[162] რაც მათ კოლიზიას იწვევს და გამოსასწორებელია. სხვა საკრებულოების რეგლამენტები ითვალისწინებს კომისიის თავმჯდომარის არჩევას მთლიანი საკრებულოს შემადგენლობიდან და შემდეგ - მისი წარდგინებით კომისიის დაკომპლექტებას.[163] **ამგვარად, 6-ვე საკრებულოს რეგლამენტები კოდექსს უნდა შეესაბამებოდეს შემდეგი წესით: ჯერ შეიქმნას ფრაქციები, შემდეგ დამტკიცდეს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, ფრაქციებმა წარადგინონ კომისიებში თავიანთი წევრები და დამტკიცდეს კომისიის პერსონალური შემადგენლობა. კომისიის თავმჯდომარეები კი ამ შემადგენლობიდან აირჩიოს საკრებულომ.**

საგულისხმოა ისიც, რომ კოდექსი უშვებს შესაძლებლობას, კომისიები არა პირველი შეკრებისთანავე, არამედ კვოტების დამტკიცებიდან 3 დღის ვადაში დაკომპლექტ-

---

[156] რუსთავის საკრებულოს რეგლამენტის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[157] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტი.
[158] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 28-ე მუხლი.
[159] რუსთავის საკრებულოს რეგლამენტის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი და 102-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[160] წალენჯიხის საკრებულოს რეგლამენტის 28-ე მუხლის პირველი პუნქტი და 104-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[161] ზუგდიდის საკრებულოს რეგლამენტის 99-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[162] ზუგდიდისა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი, რუსთავის საკრებულოს რეგლამენტის 104-ე მუხლი.
[163] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი და 78-ე მუხლი, სენაკის საკრებულოს რეგლამენტის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი და 110-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ჩხოროწყუს საკრებულოს რეგლამენტის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი და 102-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

დეს.[164] თუმცა, ეს საკრებულოს არ ართმევს უფლებას, საკითხი პირველი სხდომის დღის წესრიგში ჩასვას, ხოლო, თუკი ფრაქციების მიერ კვოტების შესაბამისად კომისიებში წევრების წარდგენა პირველ დღეს ვერ მოხერხდება, ის მომდევნო სამი დღის განმავლობაში, ისევ პირველი სხდომის დღის წესრიგის ფარგლებში განახორციელოს.

კომისიებთან მიმართებით კიდევ ერთი საკითხია საყურადღებო. ზუგდიდში, ჩხოროწყუში, სენაკსა და რუსთავში საკრებულოს კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, თუ არჩეულია კომისიის თავმჯდომარე და სამი წევრი მაინც.[165] პირველ საორგანიზაციო სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს მიერ კომისიის შემადგენლობის დამტკიცებიდან 3 დღის ვადაში.[166] წალენჯიხის საკრებულომ 22 მარტს მიღებული რეგლამენტით ახლებურად დაარეგულირა ეს პროცედურა და კომისიის ფუნქციონირებისთვის თავმჯდომარის არჩევა აღარ მიიჩნია სავალდებულოდ.[167] დანარჩენი საკრებულოების რეგლამენტები არ განსაზღვრავს, თუ რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საკრებულო კომისიის თავმჯდომარეს ვერ ირჩევს. საკრებულოს თავმჯდომარის მსგავსად, კომისიის თავმჯდომარის არჩევის შეუძლებლობაც აფერხებს საკრებულოს სრულყოფილად ამუშავებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს საკითხი პირველი სხდომის დღის წესრიგშია ჩასმული. ამან, შესაძლოა, ხელი ბიუროს ფუნქციონირებასაც შეუშალოს.[168] აქედან გამომდინარე, საკრებულოების რეგლამენტებში, წალენჯიხის საკრებულოს რეგლამენტის მსგავსი დებულების არარსებობის პირობებში, საკრებულოს თავმჯდომარის მსგავსად, ეს საკითხიც პარტიებს შორის (ან ერთი პარტიის შიგნით) კონსენსუსამდე მიდის და კრიზისის დაძლევა მხოლოდ შეთანხმებით მიიღწევა.

ფრაქციების რეგისტრაცია

ფრაქციების შექმნის შესახებ კოდექსი ვრცელ ჩანაწერს არ შეიცავს. საუბარია მხოლოდ იმ წესებზე, რომლებიც დეპუტატებმა ამ დროს უნდა დაიცვან.[169] ახალშექმნილი ფრაქცია სტატუსს იძენს რეგისტრაციის მომენტიდან.[170] რეგისტრაციის სხვა დეტალებს უკვე რეგლამენტები არეგულირებს. პროცედურის მიხედვით, ფრაქციის თავმჯდომარე ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე საკრებულოს დროებით სამანდატო კომისიას მიმართავს განცხადებით ფრაქციის დარეგისტრირების შესახებ.[171]

---

[164] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 28-ე მუხლის მე-2[1] პუნქტი.

[165] ზუგდიდის, ჩხოროწყუს, სენაკისა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების 28-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[166] ზუგდიდის, ჩხოროწყუს, სენაკისა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი, წალენჯიხის საკრებულოს რეგლამენტის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[167] წალენჯიხის საკრებულოს რეგლამენტის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[168] მაგალითად, თუ საკრებულოში 5 კომისიის თავმჯდომარის არჩევა ვერ მოხერხდა, ბიუროს სავარაუდო სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, შესაძლოა, ვერ შეიკრიბოს და არ იყოს ლეგიტიმური გადაწყვეტილებების მისაღებად.

[169] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლი.

[170] *იქვე,* მე-3 პუნქტი.

[171] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ზუგდიდის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-11 პუნქტი, ჩხოროწყუსა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების 35-ე მუხლის მე-13 პუნქტი, სენაკის საკრებულოს რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-13 პუნქტი, წალენჯიხის საკრებულოს რეგლამენტის 37-ე მუხლის მე-12 პუნქტი.

კომისია თავის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს, ის კი სხდომას მოახსენებს ფრაქციის რეგისტრაციის შესახებ.[172] საკრებულო ცნობად იღებს ამ ინფორმაციას.[173]

საკრებულოების რეგლამენტებით პრობლემურია ფრაქციის რეგისტრაციის მომენტი. ერთი მხრივ, მითითებულია, რომ ამას აკეთებს დროებითი სამანდატო კომისია, მეორე მხრივ კი, რეგისტრაციის მომენტი მიბმულია საკრებულოს მიერ ცნობად მიღებასთან.[174] შესაბამისად, ორაზროვანია, რეალურად ვინ იღებს გადაწყვეტილებას ფრაქციის რეგისტრაციის თაობაზე. დეპუტატების ფრაქციებად გაერთიანების კანონმდებლობასთან შესაბამისობის ფაქტს დროებითი სამანდატო კომისია ადასტურებს. თუ საკრებულო გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ფრაქცია რეგისტრირებულად მიიჩნევა. საკრებულოს მიერ ცნობად მიღებას ამ შემთხვევაში სამართლებრივი დატვირთვა ვერ ექნება: ის არც თანხმობას აცხადებს ფრაქციის შექმნაზე და არც უარის თქმა შეუძლია (ის არც დოკუმენტაციას ამოწმებს). საკრებულო კი მხოლოდ სამანდატო კომისიის მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განიხილავს ამ საკითხს. ამდენად, მინიმუმამდეა შემცირებული დაბრკოლებები ფრაქციის შექმნის პროცესში. იმავდროულად, რეგისტრაციის მომენტად საკრებულოს მიერ ცნობად მიღების პროცედურა ან საკრებულოს თავმჯდომარის ფაქტორი გაუმართლებლად აფერხებს ფრაქციის შექმნას. სხვა ნორმების გათვალისწინებითაც, **ლოგიკური იქნება, თუ ფრაქციის რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სრულად სამანდატო კომისიის კომპეტენციაში იქნება და მის მიერ დასკვნის გამოტანიდან ფრაქცია რეგისტრირებულად ჩაითვლება.**

გარდა ამისა, მხოლოდ ზუგდიდის საკრებულოს რეგლამენტშია მითითება იმის თაობაზე, რომ ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე ფრაქციის რეგისტრაციის საკითხის განხილვის შემდეგ დროებითი სამანდატო კომისია დასკვნას ამ სხდომის უხუცესს წარუდგენს[175] და არა - საკრებულოს თავმჯდომარეს, როგორც ეს სხვა საკრებულოების რეგლამენტებშია. **უმჯობესია, აქაც მიეთითოს სხდომის თავმჯდომარეზე, რაც ორივე შემთხვევას მოიცავს: თუ საკრებულოს უკვე ჰყავს არჩეული თავმჯდომარე, დასკვნა მას წარედგინება, ხოლო თუ ფრაქცია მის არჩევამდე რეგისტრირდება, მაშინ - საკრებულოს უხუცეს წევრს.** თუმცა, რეგისტრაციის მომენტი ყველა შემთხვევაში სამანდატო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებას უნდა დაუკავშირდეს.

პირველი სხდომის საკითხთა განხილვის გაგრძელება

ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა, შესაძლოა, რამდენიმე დღის მანძილზე მიმდინარეობდეს, სანამ მისი დღის წესრიგი არ ამოიწურება. 1 დღის ფარგლებში სხდომა შეიძლება, მაქსიმუმ, 21:00 საათამდე გაგრძელდეს.[176] რაც შეეხება მომდევნო

[172] *იქვე.*
[173] *იქვე.*
[174] *იქვე.*
[175] ზუგდიდის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-11 პუნქტი.
[176] პირველ სხდომაზე ამ შემთხვევაში ზოგადი სხდომის წესები ვრცელდება. ზუგდიდის, ჩხოროწყუსა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების 54-ე მუხლის მე-2 პუნქტი, სენაკის და წალენჯიხის

სხდომაზე განხილვის გადატანას, ის უნდა განახლდეს იმ პროცედურიდან, რომელზეც წინა სხდომა შეჩერდა. მაგალითად, რუსთავის საკრებულოში 31 იანვარს დეპუტატებს 3 დეკემბერს შეჩერებული სხდომა უნდა განეახლებინათ საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნების განმეორებითი კენჭისყრიდან/ხელახალი არჩევნებიდან. თავდაპირველად, იყო მცდელობა, რომ საკითხები გადანაცვლებულიყო და ჯერ ფრაქციების შექმნა მიეღოთ ცნობად. ერთ-ერთი პარტია კი მიუთითებდა, რომ თავმჯდომარის არჩევის პროცედურა უნდა გაგრძელებულიყო. საბოლოოდ, განმეორებით კენჭისყრაზე შესაბამისმა კანდიდატმა თავისი კანდიდატურა მოხსნა. ამის შემდეგ უკვე დასაშვები იყო საკითხთა თანმიმდევრობის შეცვლა.

დროებითი სამანდატო კომისია და მისი მანდატი

დროებითი სამანდატო კომისიის შექმნა ახალარჩეული საკრებულოს ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილებაა. ეს ორგანო იქმნება იმისთვის, რომ განიხილოს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, რომლებიც არჩევნების შედეგებს ასახავს, განიხილოს თითოეული არჩეული წევრის საბუთები (მათ შორის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხი) და მიიღოს დასკვნა წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ.[177] ის ასევე ადგენს ფრაქციების მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტების კანონთან შესაბამისობას.[178] მისი შექმნა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით არ არის გათვალისწინებული. ამ პროცედურულ საკითხს მთლიანად რეგლამენტები არეგულირებს.

განსახილველი საკრებულოებიდან მხოლოდ ბათუმშია გათვალისწინებული დროებითი სამანდატო კომისიის წევრთა წარდგენის წესი და მითითებულია, რომ ეს სხდომის თავმჯდომარის პრეროგატივაა.[179] ამგვარი წესის არარსებობამ შეიძლება შეაფერხოს კომისიის შექმნის პროცედურა, ასევე, მკვეთრი პარტიული დაპირისპირების შემთხვევაში, გაამწვავოს პოლარიზაცია. **უმჯობესი იქნება, თუ სხვა საკრებულოების რეგლამენტებშიც გაიწერება დროებითი სამანდატო კომისიის წევრთა წარდგენის წესი და დამატებითი დეტალები. კერძოდ, პარტიებს უნდა შეეძლოთ ამ კომისიაში თითო წევრის დანიშვნა და წევრთა რაოდენობა სწორედ პარტიათა რაოდენობიდან უნდა გამოითვლებოდეს. ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს პარტიის მიერ კომისიაში წევრის ჩანაცვლების უფლებაც.**

დროებითი სამანდატო კომისიის შექმნის გადაწყვეტილება საკრებულოს განკარგულებით ფორმდება (მისი მიღების კვორუმია დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის 1/3).[180] მისი ძალადაკარგულად გამოცხადება ასე-

---

საკრებულოთა რეგლამენტების 56-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის ეს დრო დადგენილი არ არის.

[177] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 41-ე მუხლი, ზუგდიდის, ჩხოროწყუსა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების 44-ე მუხლი, სენაკის და წალენჯიხის საკრებულოთა რეგლამენტების 46-ე მუხლი.

[178] *იქვე.*

[179] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[180] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი, ზუგდიდის, ჩხოროწყუსა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების 44-ე მუხლის პირველი პუნქტი, წალენჯიხისა და სენაკის საკრებულოთა რეგლამენტების 46-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ვე საკრებულოს კომპეტენციაა იმავე კვორუმით.[181] სენაკში 2022 წლის 9 თებერვალს დროებითი სამანდატო კომისიის შექმნის შესახებ 3 დეკემბრის გადაწყვეტილება ძალადაკარგულად ცნეს და შექმნეს ახალი კომისია სხვა შემადგენლობით. თუმცა, იმ სხდომის უფლებამოსილების კანონიერება სასამართლოში გასაჩივრდა და, სენაკის რაიონული სასამართლოს 23 თებერვლის განჩინებით, საკრებულოს წევრთა მიერ 9 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილებების მოქმედება შეჩერდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.[182]

უხუცესი წევრი და მისი მანდატი

ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომას საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება საკრებულოს წევრთაგან ასაკით უხუცესი წევრი.[183] რეგლამენტებში ეს საკითხი დაზუსტებულია და ასეთად მიიჩნევა დამსწრეთაგან უხუცესი.[184] შესაბამისად, თუ თავმჯდომარის არჩევისთვის რამდენიმე სხდომა გაიმართა, შესაძლებელია, რომ ყველა სხდომას სხვადასხვა პირი თავმჯდომარეობდეს (იმის მიხედვით, ვინ იქნება თითოეულ სხდომაზე დამსწრეთაგან ასაკით ყველაზე უფროსი).

რაც შეეხება უხუცესი წევრის მანდატს, თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, ის საკრებულოს სხდომას უძღვება.[185] ეს ნიშნავს, რომ იგი სარგებლობს თავმჯდომარის ფუნქციებით: მოდერაციას უწევს სხდომას, ასახელებს განსახილველ საკითხებს და მათ კენჭისყრაზე წარადგენს, აცხადებს კენჭისყრის შედეგებს, ასევე - შესვენებას.[186] გარდა ამისა, პირველი სხდომის დღის წესრიგის გათვალისწინებით, ის ხელს აწერს საკრებულოს 3 აქტს: დროებითი ხმის დამთვლელი და დროებითი სამანდატო კომისიების შექმნის შესახებ, ასევე საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის თაობაზე.[187] მას არ აქვს სხვა უფლებამოსილებები, როგორიც საკრებულოს არჩეულ თავმჯდომარეს, მაგალითად, ვერ წარადგენს მოადგილეებს თავმჯდომარის არჩევამდე, ვერ დანიშნავს აპარატის თანამშრომლებს, არ ექნება წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და ვერ შეადგენს დღის წესრიგს.

უხუცესი წევრის მიერ სხდომის გაძღოლის საკითხი შეიძლება მაშინაც წარმოიშვას, როდესაც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები არ არიან არჩეულნი, ხოლო

[181] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[182] „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ სენაკის სასამართლოს განჩინებით, გაუქმდა სენაკის საკრებულოს 9 თებერვლის გადაწყვეტილებები, შესაბამისად, ანულირებულია საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის საკითხი“, *„პირველი არხი“,* 2022 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3prfY8O, განახლებულია: 27.04.2022.

[183] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[184] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რუსთავის, ზუგდიდისა და ჩხოროწყუს საკრებულოთა რეგლამენტების 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი, სენაკის და წალენჯიხის საკრებულოთა რეგლამენტების 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[185] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[186] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რუსთავის, ჩხოროწყუსა და ზუგდიდის საკრებულოთა რეგლამენტების 53-ე მუხლის მე-2 პუნქტი, სენაკის და წალენჯიხის საკრებულოთა რეგლამენტების 55-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[187] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რუსთავის, ზუგდიდისა და ჩხოროწყუს საკრებულოთა რეგლამენტების 41-ე მუხლის მე-3 პუნქტი, სენაკის და წალენჯიხის საკრებულოთა რეგლამენტების 43-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

თავმჯდომარე სხდომას არ ესწრება, ასევე, თუ სპიკერატი გადადგა და საკრებულომ ისინი ხელახლა უნდა აირჩიოს. რუსთავის გარდა, ყველას საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულია, რომ თავმჯდომარის და მოადგილეების არყოფნის შემთხვევაში, სხდომას უხუცესი (ასაკით უფროსი) წევრი უძღვება.[188] რუსთავში პირდაპირ გადმოტანილია კოდექსის ჩანაწერი, რომ ამ საკითხს საკრებულოს რეგლამენტი არეგულირებს,[189] თუმცა ეს უკანასკნელი ხსენებულ შემთხვევას აღარ განსაზღვრავს. **აუცილებელია, მოცემული საკითხი რუსთავის საკრებულოს რეგლამენტითაც მოწესრიგდეს.**

უხუცეს წევრთან მიმართებით ჩხოროწყუს საკრებულოში 2021 წლის 16 დეკემბერს ასეთი პრობლემა წარმოიშვა: დილით გახსნილ სხდომას, რომელიც 3 დეკემბრის სხდომის გაგრძელება იყო, უძღვებოდა უხუცესი წევრი პარტია „ქართული ოცნებიდან“. შესვენების შემდეგ მან, კვორუმის არარსებობის მოტივით, მოულოდნელად დახურა სხდომა ისე, რომ მისი გაგრძელების დროის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისთვის არ უცნობებიათ. ამ უკანასკნელთა მხრიდან წამოიჭრა საკითხი, შეეძლოთ თუ არა მათ იმავე დღეს, პარტია „გახარია საქართველოსთვის“ (ასევე „ლელოს“) წარმომადგენლებთან ერთად, კვლავ გაემართათ სხდომა, რომელსაც დამსწრეთაგან უხუცესი წევრი გაუძღვებოდა. **მიუხედავად იმისა, რომ არ არის სავალდებულო, სხდომის წამყვანი იყოს იგივე პირი, რომელიც უხუცესის სტატუსით წინა შეკრებებს უძღვებოდა, 16 დეკემბრის სხდომის დახურულად გამოცხადების უფლება იმავე დღის სხდომის უხუცეს წევრს ჰქონდა. შესაბამისად, სხდომის კვლავ ჩასატარებლად საჭირო იყო სათანადო პროცედურების თავიდან გავლა. სხვა შემთხვევაში, 14 დეპუტატის ნებისმიერი შეკრება საკრებულოს სხდომის გამართვად ვერ ჩაითვლებოდა.**

„რიგგარეშე“ სხდომა პირველი სხდომის დღის წესრიგით

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა ბიუროს მიერ შედგენილი სამუშაო გეგმით (კვარტალური) გაუთვალისწინებელი საკითხ(ებ)ის განსახილველად.[190] ბათუმის საკრებულოში სამუშაო გეგმის შედგენის კონკრეტული პროცედურა დადგენილი არ არის (მითითებულია მხოლოდ მისი დამტკიცების უფლებამოსილებაზე[191]). აქ საკრებულოს ბიურო მისი მორიგი სხდომის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე ადგენს სხდომის დღის წესრიგის პროექტს.[192] როცა საკრებულო მორიგი სხდომისთვის განსაზღვრულ დღის წესრიგს ამოწურავს და მომდევნო თარიღამდე საჭირო გახდება სხდომის გამართვა, ამ შემთხვევაში მოიწვევა რიგგარეშე სხდომა გეგმით გაუთვალისწინებელი საკითხების განსახილველად.[193]

---

[188] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 45-ე მუხლის პირველი პუნქტი, ზუგდიდისა და ჩხოროწყუს საკრებულოთა რეგლამენტების 53-ე მუხლის პირველი პუნქტი, სენაკისა და წალენჯიხის საკრებულოთა რეგლამენტების 55-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[189] რუსთავის საკრებულოს რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი და 53-ე მუხლის 1^1-ლი პუნქტი.

[190] რუსთავის, ჩხოროწყუს და ზუგდიდის საკრებულოთა რეგლამენტების 51-ე მუხლის პირველი პუნქტი, სენაკის და წალენჯიხის საკრებულოთა რეგლამენტების 53-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[191] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

[192] იქვე, 47-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[193] რუსთავის, ჩხოროწყუს და ზუგდიდის საკრებულოთა რეგლამენტების 51-ე მუხლის პირველი პუნქტი, სენაკის და წალენჯიხის საკრებულოთა რეგლამენტების 53-ე მუხლის პირველი პუნქტი.

რიგგარეშე სხდომის მოწვევისთვისაც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილია შესაბამისი წესები. კერძოდ, მისი მოწვევის ინიციატორი შეიძლება იყოს: მუნიციპალიტეტის მერი; საკრებულოს თავმჯდომარე; საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედი; ფრაქცია; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1%.[194]

რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს თავმჯდომარე. თუ ის ერთი კვირის ვადაში არ დანიშნავს სხდომას, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, შეიკრიბოს.[195] რეგლამენტის თანახმად, თავმჯდომარეს შეუძლია, უარი თქვას სხდომის მოწვევაზე. ასეთ შემთხვევაში საკრებულოს უფლება აქვს, შეიკრიბოს მოთხოვნის (წინადადების) წარდგენიდან ერთ კვირაში (გარდა ბათუმისა, სადაც არ არის განსაზღვრული, რამდენ ხანში შეუძლია საკრებულოს შეკრება[196]).

ეს წესები ზუსტად ერგება იმ შემთხვევებს, როდესაც საკრებულოს არჩეული ჰყავს თავმჯდომარე. თუმცა, თუ ის კვლავ პირველი სხდომის დღის წესრიგის ფარგლებშია, მაშინ ჩნდება პრობლემა: რომელი იქნება მორიგი და რომელი - რიგგარეშე სხდომა. ან ვის უნდა მიმართოს ზემოთ ხსენებულმა სუბიექტმა სხდომის მოწვევის თაობაზე, ვინ მიიღებს მოწვევის გადაწყვეტილებას და რა პერიოდულობით უნდა ტარდებოდეს სხდომები.

პირველ სხდომას არჩევნების შემდეგ ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია.[197] თუ ამ სხდომაზე ვერ მოხერხდა დღის წესრიგის ამოწურვა, მომდევნო შეკრებები ამავე დღის წესრიგით მიმდინარეობს, თუმცა მათი ჩატარების პერიოდულობა არაერთგვაროვანია. როგორც აღინიშნა, მორიგი სხდომები თვეში ერთხელ მაინც უნდა გაიმართოს და მას, ჩვეულებრივ პირობებში, საკრებულოს თავმჯდომარე მოიწვევს.[198] თუ თავმჯდომარეს პირველ სხდომაზე ვერ აირჩევენ, ის გადაიდება არაუმეტეს 1 კვირის ვადით.[199] მანამდე მოწვევის საჭიროების შემთხვევაში კი ლოგიკური იქნება რიგგარეშე სხდომის ფორმატის გამოყენება (ვინაიდან სხდომის მოწვევაზე უფლებამოსილი პირი - თავმჯდომარე - არ ჰყავს საკრებულოს). კერძოდ, მისი მოწვევის ინიციატორები იქნებიან იგივე პირები, რომლებსაც რიგგარეშე სხდომის მოთხოვნა შეუძლიათ. მოწვევის თაობაზე ინიციატივა წარედგინება აპარატს. თუ ის დაადგენს, რომ განმცხადებელი არის სათანადო სუბიექტი, სხდომას მოთხოვნილ დღეს დანიშნავს. თუმცა ეს დღე, როგორც უკვე აღინიშნა, არ უნდა ემთხვეოდეს იმ სხდომის თარიღს, რომელიც უკვე გაიმართა და დაიხურა იმავე სხდომის უხუცესი თავმჯდომარის მიერ. რუსთავის

---

[194] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[195] *იქვე,* მე-3 პუნქტი.

[196] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რუსთავის და ჩხოროწყუს საკრებულოთა რეგლამენტების 51-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები, სენაკისა და წალენჯიხის საკრებულოთა რეგლამენტების 53-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები. მოუწვევლობის შემთხვევაში რა ხდება, არ არის გაწერილი ზუგდიდის საკრებულოს რეგლამენტში.

[197] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[198] *იქვე,* 26-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[199] ზუგდიდის საკრებულოს რეგლამენტის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ჩხოროწყუს და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების 46-ე მუხლის მე-3 პუნქტი, სენაკის და წალენჯიხის საკრებულოთა რეგლამენტების 48-ე მუხლის მე-3 პუნქტი. ბათუმის საკრებულოს რეგლამენტი ამ ვადას არ ითვალისწინებს.

საკრებულოში ეს ვადა დაირღვა. 2021 წლის 3 დეკემბრის სხდომის შემდეგ, რომელზეც თავმჯდომარის არჩევის პროცედურაზე შეჩერდნენ დეპუტატები, მომდევნო სხდომა არა ერთი კვირის შემდეგ, არამედ თითქმის 2 თვის თავზე, 2022 წლის 31 იანვარს ჩატარდა. **ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო სხდომები პირველი მორიგი სხდომის დღის წესრიგით ტარდება, მათ მოწვევაზე უნდა გავრცელდეს ან რიგგარეშე სხდომის ფორმატი, ან, საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის პროცედურის მსგავსად, სხდომის 1 კვირაში გამართვის ვალდებულება (და არა - 1 თვის შემდეგ მოწვევის წესი). ეს საკრებულოს საშუალებას მისცემს, მაქსიმალურად სწრაფად ამოწუროს პირველი საკითხები და მუშაობა განაგრძოს სხვა თემებზე. მიზანშეწონილია, რომ ეს პროცედურა საკრებულოების რეგლამენტებით გაიწეროს.**

სხდომის ჩატარების პერიოდულობა - მორიგი და რიგგარეშე სხდომები

პარლამენტისგან განსხვავებით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საკრებულოებში მორიგი და რიგგარეშე სესიების პერიოდი განსაზღვრული არ არის. კოდექსის მიხედვით, საკრებულოს მორიგ სხდომებს თვეში ერთხელ მაინც იწვევს საკრებულოს თავმჯდომარე.[200] სხდომის დღის წესრიგის, სამუშაო გეგმისა და სამუშაო პროგრამის პროექტებს კი ადგენს საკრებულოს ბიურო.[201]

საკრებულოს მორიგი სხდომა მოიცავს მორიგი სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით ჩატარებული სხდომების ერთობლიობას.[202] მორიგ სხდომაში საკრებულოს სხდომების რაოდენობა დამოკიდებულია დღის წესრიგის საკითხთა რაოდენობაზე.[203] საკრებულოს სხდომებზე დაწყებული საკითხის/საკითხების განხილვა შეიძლება გაგრძელდეს ამავე მორიგი სხდომით გათვალისწინებულ შემდგომ სხდომებზე. მორიგი სხდომა იხურება (სრულდება), როდესაც დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა საკითხზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება (მათ შორის შეიძლება იყოს გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის (საკითხების) განხილვის გადადების შესახებ).[204]

ზუგდიდში განსაზღვრულია მორიგი სხდომის ჩატარების თარიღი - ყოველი თვის პირველი პარასკევი (ხოლო, თუ პარასკევი არასამუშაო დღეა, მომდევნო სამუშაო დღე).[205] აქედან გამომდინარე, ამ თარიღისთვის დამტკიცებული დღის წესრიგის ამოწურვისთანავე მორიგი სხდომა სრულდება, ხოლო შემდეგი თვის პირველ პარასკევამდე დანიშნული შეკრება უკვე რიგგარეშე სხდომაა. ის დაიხურება, როდესაც დღის წესრიგის ყველა საკითხზე მიღებულია რაიმე გადაწყვეტილება, მათ შორის, რომელი-

[200] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[201] *იქვე,* 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.
[202] ზუგდიდის, ჩხოროწყუს, სენაკის და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.
[203] *იქვე,* მე-3 პუნქტი.
[204] რუსთავის, სენაკის, ჩხოროწყუსა და ზუგდიდის საკრებულოთა რეგლამენტების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი. ბათუმის და წალენჯიხის საკრებულოთა რეგლამენტებში ამგვარი ჩანაწერი არ გვხვდება.
[205] ზუგდიდის საკრებულოს რეგლამენტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი და 47-ე მუხლის პირველი პუნქტი.

მე საკითხის გადადების თაობაზე.[206]

ჩხოროწყუს საკრებულოს სხდომა ტარდება, როგორც წესი, ყოველი თვის პირველ ორშაბათს (ხოლო, თუ ორშაბათი არასამუშაო დღეა, მომდევნო სამუშაო დღეს).[207] მსგავსი წესია გათვალისწინებული სენაკის საკრებულოს რეგლამენტითაც.[208] აქ ცნობა მორიგი სხდომის ჩატარების ადგილის, მისი დაწყებისა და დამთავრების სავარაუდო თარიღის, სხდომების განრიგისა და დღის წესრიგის, ასევე, განსახილველ საკითხებზე დაინტერესებულ პირთა მხრიდან მოსაზრებების წარდგენის ვადის შესახებ ქვეყნდება სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე მაინც.[209]

რუსთავსა და წალენჯიხაში მორიგი სხდომის ჩატარების თარიღი განსაზღვრული არ არის. ცნობა საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების ადგილის, მისი დაწყებისა და დამთავრების სავარაუდო თარიღის, სხდომების განრიგისა და დღის წესრიგის, ასევე განსახილველ საკითხებზე დაინტერესებულ პირთა მხრიდან მოსაზრებების წარდგენის ვადის შესახებ ქვეყნდება სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე მაინც. საკრებულოს სამუშაო გეგმა აქაც კვარტლების მიხედვით გაიწერება.[210] ყოველი კვარტლის ბოლო მორიგ სხდომაზე დგება საკითხი მომდევნო კვარტლის სამუშაო გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ.[211] არც ბათუმშია განსაზღვრული მორიგი სხდომის ჩატარების თარიღი. აქ საკრებულოს წევრებს მორიგი სხდომის ჩატარებამდე 2 დღით ადრე მაინც უნდა მიეწოდოთ დღის წესრიგისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტები.[212]

ბოლო სამ შემთხვევაში ბუნდოვანია, რას ნიშნავს თვეში 1 სხდომა. გულისხმობს ეს კალენდარულ თვეს თუ ნებისმიერ 30 დღეს, რაც შეიძლება მთლიანობაში 2-თვიან შუალედსაც მოიცავდეს. **ლოგიკური იქნება, თუ, სხვა საკრებულოების მსგავსად, ამ სამ შემთხვევაშიც გაიწერება უფრო ზუსტი სასესიო პერიოდები.**

კვორუმი

თვითმმართველობის კოდექსით და საკრებულოების რეგლამენტებით ორი სახის კვორუმია გათვალისწინებული: 1) უფლებამოსილების (ე.წ. ლეგიტიმაციის) და 2) კენჭისყრის კვორუმი. უფლებამოსილების კვორუმი კოდექსითვეა დადგენილი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.[213] ეს ნიშნავს, რომ თუ დარბაზში ამ რაოდენობის წევრი არ იქნება და რეგისტრაციას არ გაივლის (რეგისტრაცია ტარდება აპა-

[206] *იქვე,* მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი.
[207] ჩხოროწყუს საკრებულოს რეგლამენტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი და 47-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[208] სენაკის საკრებულოს რეგლამენტის 49-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[209] სენაკის საკრებულოს რეგლამენტის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ჩხოროწყუს საკრებულოს რეგლამენტის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[210] რუსთავის საკრებულოს რეგლამენტის 50-ე მუხლის პირველი პუნქტი, წალენჯიხის საკრებულოს რეგლამენტის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[211] *იქვე.*
[212] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 44-ე მუხლის მე-5 პუნქტი.
[213] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

რატის მიერ შედგენილ სარეგისტრაციო ფურცელზე ხელის მოწერით[214]), საკრებულო სხვა საკითხებს ვერ განიხილავს და გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს (კენჭისყრას ვერ ჩაატარებს). შესაბამისად, იმ დღეს დანიშნული სხდომა ჩატარებულად ვერ მიიჩნევა.

რაც შეეხება კენჭისყრის კვორუმებს, ისინი განსხვავდება თემების მიხედვით. ზოგადი კვორუმია დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის 1/3.[215] თუმცა, უფრო მაღალი კვორუმებია გათვალისწინებული საკადრო საკითხებზე,[216] ბიუჯეტის დამტკიცებასა[217] და მერისთვის უნდობლობის გამოცხადებაზე.[218] ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია სხდომის დასაწყისში და შემდეგ, კენჭისყრების წინ, საკრებულოს ლეგიტიმაციის დადგენა, ანუ რეგისტრაცია, რომლითაც გამოვლინდება, უფლებამოსილია თუ არა საკრებულო, განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხები.

კვორუმთან დაკავშირებით სენაკის საკრებულოში ასეთი პრობლემა წარმოიშვა: ვინაიდან პირველი სხდომა 3 დეკემბერს დაიწყო და იმავე დღის წესრიგით გრძელდებოდა მის ამოწურვამდე, ცალკეულ დეპუტატებს ჰქონდათ მოსაზრება, რომ 3 დეკემბერს გამართული სხდომის უფლებამოსილების კვორუმი გრძელდებოდა იმავე დღის წესრიგის ფარგლებში მოწვეულ შემდეგ სხდომებზეც და აღარ იყო საჭირო ხელახალი უფლებამოსილების დადგენა.[219] მართალია, მომდევნო სხდომებზეც იგივე სხდომის დღის წესრიგი მოქმედებდა, თუმცა, სხვა მხრივ, თითოეულ თარიღში მოწვეული სხდომა თავისი არსით დამოუკიდებელია და მათ თავიანთი უფლებამოსილების კვორუმი სჭირდებათ. მეტიც, უფლებამოსილების დადგენა იმ შემთხვევაშიც აუცილებელია, როდესაც კენჭისყრებს შორის რაიმე საკითხი იხილება. ამის მიზანია, განისაზღვროს, არის თუ არა საკრებულო კონკრეტულ მომენტში უფლებამოსილი, რომ რაიმე საკითხი გადაწყვიტოს. ეს წესი იმოქმედებს არა მხოლოდ პირველ სხდომასთან მიმართებით, არამედ სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ერთი დღის წესრიგით მოწვეული სხდომა ვერ სრულდება 1 კალენდარულ დღეში და ის რამდენიმე დღე გრძელდება. ყველა საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით, სხდომა უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარი მაინც ესწრება.[220] ხოლო კენჭისყრის წინ ტარდება რეგისტრაცია,[221] რომლის მიზანი სწო-

---

[214] ზუგდიდის, ჩხოროწყუსა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების 41-ე მუხლის პირველი პუნქტი და 52-ე მუხლის პირველი პუნქტი, წალენჯიხის და სენაკის საკრებულოთა რეგლამენტების 43-ე მუხლის პირველი პუნქტი და 54-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[215] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, სენაკისა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი, წალენჯიხის საკრებულოს რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი.

[216] სიითი შემადგენლობის უმრავლესობაა გათვალისწინებული საკრებულოს თავმჯდომარის (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი), საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის (36-ე მუხლის პირველი პუნქტი) და კომისიის თავმჯდომარის (37-ე მუხლის პირველი პუნქტი) ასარჩევად.

[217] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 91-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[218] *იქვე,* 51-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

[219] „გადაწყვეტილება კვორუმის გარეშე? - რა მოხდა სენაკის საკრებულოში“, *„რადიო თავისუფლება“,* 2022 წლის 10 თებერვალი.

[220] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 51-ე მუხლის პირველი პუნქტი, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების 52-ე მუხლის მე-3 პუნქტი, სენაკის და წალენჯიხის საკრებულოთა რეგლამენტების 54-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[221] ზუგდიდის საკრებულოს 75-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ჩხოროწყუს, სენაკისა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების 77-ე მუხლის მე-3 პუნქტი, წალენჯიხის საკრებულოს რეგლამენტის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

რედ საკრებულოს უფლებამოსილების დადგენაა. **ამდენად, საკრებულოში სხდომის დაწყების ან/და ნებისმიერ დროს კენჭისყრის პროცედურით მისი გაგრძელებისას ლეგიტიმაციის კვორუმის არარსებობის შემთხვევაში, ორგანოს არაუფლებამოსილების გამო, სხდომა ვერ ჩატარდება.**

წევრთა უფლებამოსილების ცნობის პროცედურები

საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობა ორგვარი პროცედურით ხორციელდება. პირველ სხდომაზე ეს ხდება ერთიანი სიით. კერძოდ, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს დროებითი სამანდატო კომისია, რის შემდეგაც ერთიანად ეყრება კენჭი დეპუტატთა უფლებამოსილებას[222] (აღსანიშნავია, რომ რუსთავის საკრებულოში 3 დეკემბერს საკრებულოს თითოეული წევრის უფლებამოსილების ცნობაზე ცალ-ცალკე განკარგულებაა გამოცემული[223]). ამ შემთხვევაში იმ პირებზეა საუბარი, რომლებმაც არჩევნების შედეგად მოიპოვეს უფლება, გახდნენ საკრებულოს წევრები (როგორც მაჟორიტარული, პროპორციული წესით არჩეული). ამ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობენ (ხმას აძლევენ) თავად ეს წევრები, ვინაიდან საჭიროა საკრებულოს ფუნქციონირების დაწყება. თუ რომელიმე დეპუტატზე დროებითი სამანდატო კომისია დადებით დასკვნას არ გამოიტანს, მისი გვარი სიაში არ შევა.[224] თუკი გასაჩივრების შემდეგ სასამართლო გადაწყვეტს, რომ ამ პირის უფლებამოსილება საკრებულომ უნდა აღიაროს, ეს უკანასკნელი მხოლოდ ცნობად მიიღებს ამ ფაქტს.[225]

ერთიანი სიით უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, შესაძლებელია, რომელიმე წევრი გამოაკლდეს საკრებულოს. ამ შემთხვევაში საკითხი ორგვარად წყდება: თუ ის მაჟორიტარია, ინიშნება შუალედური არჩევნები,[226] ხოლო თუ პროპორციული წესითაა არჩეული, საოლქო კომისია წარმოადგენს ამ პარტიის სიის მომდევნო წევრს (გენდერული კვოტირების გათვალისწინებით).[227] ამ დროს, წინა შემთხვევისგან განსხვავებით, თავად ეს წევრი საკუთარი თავისთვის უფლებამოსილების ცნობის პროცედურაში არ მონაწილეობს, ვინაიდან საკრებულო, როგორც ორგანო, უკვე არსებობს და ახალი წევრის უფლებამოსილების აღიარება მის ფუნქციებში შედის. ნებისმიერ შემთხვევაში საკრებულოს წევრის უფლებამოსილება აითვლება საკრებულოს მიერ მისი აღიარების მომენტიდან[228] და არა - არჩევნების შედეგების შეჯამებისა ან საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ უფლებამონაცვლის განსაზღვრიდან.

---

[222] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ზუგდიდის, ჩხოროწყუსა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების 45-ე მუხლის მე-2 პუნქტი, სენაკისა და წალენჯიხის საკრებულოთა რეგლამენტების 47-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[223] ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის სხდომის ოქმი.

[224] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ზუგდიდის, ჩხოროწყუსა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების 45-ე მუხლის მე-3 პუნქტი, სენაკისა და წალენჯიხის საკრებულოთა რეგლამენტების 47-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[225] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ზუგდიდის, ჩხოროწყუსა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების 45-ე მუხლის მესამე პუნქტი, სენაკისა და წალენჯიხის საკრებულოთა რეგლამენტების 47-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[226] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 154-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[227] იქვე, პირველი პუნქტი და 203-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

[228] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-40 მუხლის მე-6 პუნქტი.

ახალი წევრის დოკუმენტების შესწავლაც იმავე წესით ხდება. თუ მუდმივმოქმედი კომისია შექმნილია, ის განიხილავს და საკრებულო ცნობად იღებს, ხოლო თუ ის ჯერ არ არის შექმნილი, მაშინ - დროებითი სამანდატო კომისია. ორივე შემთხვევაში წევრი უფლებამოსილად მიიჩნევა საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან. პრობლემა შეიძლება შეიქმნას, თუ საკრებულო შეკრებას ვერ ახერხებს და არჩეული წევრის უფლებამოსილების საკითხი გადაუწყვეტელი რჩება. **იმისთვის, რომ ხალხის ნება აისახოს მანდატში და პოლიტიკურმა დაპირისპირებამ პროცესი არ დააზიანოს, მიზანშეწონილი იქნება ამ მექანიზმის დახვეწა და დროებითი ანტიკრიზისული მექანიზმების შემოღება.**

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

საკრებულოს წევრს უფლებამოსილება რამდენიმე შემთხვევაში უწყდება. ერთ-ერთია უფლებამოსილების მოხსნა პირადი განცხადებით,[229] რა დროსაც ის საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართავს. უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტად მიიჩნევა შესაბამისი განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღე.[230] საკრებულოების რეგლამენტებით დამატებით გათვალისწინებულია დროებითი ან მუდმივმოქმედი სამანდატო კომისიის მიერ საკითხის განხილვა,[231] თუმცა უფლებამოსილების შეწყვეტა კომისიის (მუდმივი ან დროებითი) ან საკრებულოს გადაწყვეტილებაზე არ არის დამოკიდებული.

ამ საკითხზე დავა სენაკის საკრებულოში წარმოიშვა, როდესაც ერთ-ერთი პარტიის წევრმა უფლებამოსილების ცნობის შემდეგ განცხადება დაწერა მისი შეწყვეტის თაობაზე. დროებითმა სამანდატო კომისიამ გადაწყვეტილება არ მიიღო. საკრებულოს აპარატის მითითებით, საკითხი უკვე მუდმივმოქმედი კომისიის კომპეტენციაში შედიოდა.[232] ეს არგუმენტი არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნას. ამ წევრს უფლებამოსილება შეუწყდა განცხადების რეგისტრაციის მეორე დღიდან, რის შემდეგაც დაიწყებოდა მისი უფლებამონაცვლის განსაზღვრის პროცედურები. აქედან გამომდინარე, **სამანდატო კომისიასა ან საკრებულოზე არ არის დამოკიდებული პირადი განცხადების საფუძველზე წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.**

აღსანიშნავია ისიც, რომ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თარიღი თითოეულ საფუძველთან მიმართებით განსხვავებულია. რეგლამენტების მიხედვით, მხოლოდ სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენისას იღებს საკრებულო კენჭისყრით გადაწყვეტილებას წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე, ხოლო სხვა საფუძვლების არსებობის შემთხვევაში მხოლოდ ცნობად იღებს ამ ინფორმაციას.[233]

---

[229] *იქვე,* 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[230] იქვე, მე-4 პუნქტი.

[231] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის მე-10 მუხლი, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, სენაკისა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი, წალენჯიხის საკრებულოს რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტი.

[232] „გახარია საქართველოსთვის“ სენაკის საკრებულოს წევრმა საკრებულოს მანდატი დატოვა“, საინფორმაციო პორტალი „*Livepress.ge*”, 03.12.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vP8PBx, განახლებულია: 27.04.2022.

[233] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტი, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, სენაკისა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების მე-13 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები, წალენჯიხის საკრებულოს რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები. ასევე ზუგდიდის საკრებულოს რეგლამენტის 91-ე

კოდექსით კი კენჭისყრით გადაწყვეტილების მიღება საკრებულოს წევრის მიერ თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნების დარღვევის დროსაც არის გათვალისწინებული.[234] **საკრებულოების რეგლამენტები ამ ნაწილში კოდექსს უნდა შეესაბამებოდეს.**

საკრებულოს თავმჯდომარისა და მოადგილეების გაწევრიანება კომისიებში

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, საკრებულოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, იყოს მაქსიმუმ ორი კომისიის შემადგენლობაში. კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის გარდა, სხვა წევრები (მათ შორის, მოადგილე) ვალდებულნი არიან, იყვნენ ერთი კომისიის შემადგენლობაში მაინც.[235] ამ წესისგან განსხვავებით, ზუგდიდის, ჩხოროწყუსა და სენაკის საკრებულოებში თავმჯდომარის მოადგილე არ არის ვალდებული, გაწევრიანდეს კომისიაში.[236] რუსთავსა და ბათუმში კი, რეგლამენტების მიხედვით, საკრებულოს თავმჯდომარეზეც არ არის დადგენილი გამონაკლისი.[237] აგრეთვე, ზუგდიდში, ჩხოროწყუსა და სენაკში პირს კომისიის წევრობა უწყდება საკრებულოს თავმჯდომარედ ან მის მოადგილედ არჩევის შემთხვევაში. თუმცა, იმავდროულად, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს უფლება აქვს, იყოს კომისიის წევრი.[238] **ამდენად, კომისიებში თავმჯდომარეებისა და მოადგილეების გაწევრიანების საკითხთან მიმართებით საკრებულოების რეგლამენტები ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს უნდა შეესაბამებოდეს.**

მუხლის მე-3 პუნქტი, ჩხოროწყუს, სენაკისა და რუსთავის საკრებულოთა რეგლამენტების 93-ე მუხლის მე-3 პუნქტი, წალენჯიხის საკრებულოს რეგლამენტის 95-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[234] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტები.

[235] *იქვე,* მე-40 მუხლის მე-8 პუნქტი.

[236] ზუგდიდის, ჩხოროწყუსა და სენაკის საკრებულოთა რეგლამენტების 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი. წალენჯიხის საკრებულოს ახალმა რეგლამენტმა ეს ხარვეზი აღმოფხვრა. იხ. წალენჯიხის საკრებულოს რეგლამენტის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[237] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის 78-ე მუხლის პირველი პუნქტი, რუსთავის საკრებულოს რეგლამენტის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[238] ზუგდიდის, ჩხოროწყუსა და სენაკის საკრებულოთა რეგლამენტების 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

შეჯამება

2021 წლის მოწვევის ზოგიერთ საკრებულოში პარტიებისთვის გადაულახავ წინააღმდეგობად იქცა ერთმანეთთან კონსენსუსი და ერთიანი კანდიდატების წარდგენა. 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 1-ელ მაისამდე პერიოდში 8 საკრებულოდან 6-ში საწყისი პროცედურული კრიზისი, შეიძლება ითქვას, მოგვარდა. საკრებულოს თავმჯდომარის პოზიციასთან ერთად, პარტიებმა მოადგილეების თანამდებობებიც გაინაწილეს. ამ პროცესში „ქართულ ოცნებას“ მონაწილეობა არ მიუღია. ჯერჯერობით ყველა კომისიის თავმჯდომარე არჩეული არ არის წალენჯიხაში, ხოლო მოადგილეების თითო ვაკანსიაა წალენჯიხასა და ზუგდიდში. წინასწარ შეუძლებელია ვარაუდი, შესაბამის პარტიებს შორის შეთანხმების პოლიტიკა აქაც გაგრძელდება თუ არა.

საკრებულოების პირველი სხდომის თარიღიდან მოყოლებული, ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებზე დაკვირვების შედეგად, რამდენიმე ტენდენცია გამოიკვეთა. პირველ ყოვლისა, აშკარა გახდა, რომ „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ერთმანეთში კონსენსუსს გამორიცხავდნენ და კრიზისის დასრულების გასაღებს გახარიას პარტიაში ხედავდნენ. ამ უკანასკნელს კი, იმ მიზეზით, რომ ზემოხსენებულ რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან აფილირებულად არ წარმოჩენილიყო, გადაწყვეტილების მიღება უჭირდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ კრიზისის თავიდან აცილებისა თუ დასრულების პროცესში პასუხისმგებლობა თითოეულ პარტიას უნდა აეღო. ზოგიერთ საკრებულოში ისინი აცხადებდნენ, რომ მხარს დაუჭერდნენ ნებისმიერ კანდიდატურას, რომელსაც მათი კონკურენტი რომელიმე პარტია წამოაყენებდა. თუმცა, ვინაიდან წინასწარი მოლაპარაკებები პარტიებს შორის ვერ იმართებოდა, კანდიდატურის დასახელებისგან თავს იკავებდნენ. ამის გამო, სხდომათა უმეტესობა ან კვორუმის არქონის მიზეზით ვერ იხსნებოდა, ან კანდიდატურების არარსებობის მოტივით იხურებოდა. იმ საკრებულოებში, სადაც „ქართული ოცნების“ გარდა სხვა პარტიები ერთად სხდომის გახსნის კვორუმს ქმნიდნენ, შეთანხმება მოხერხდა და რამდენიმე მცდელობის შემდეგ თავმჯდომარედ გახარიას პარტიის წარმომადგენელი აირჩიეს. ამ პოლიტიკურმა ძალებმა დანარჩენი თანამდებობებიც ერთმანეთში გაინაწილეს.

ბათუმის და სენაკის საკრებულოებში დანარჩენებისგან განსხვავებული ვითარება შეიქმნა. სენაკში „გახარია საქართველოსთვის“ წევრის მიერ მანდატის დატოვების შემდეგ ეს პარტია და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სხდომის გახსნის (უფლებამოსილების დადგენის) კვორუმს დამოუკიდებლად ვერ აგროვებდნენ. ამ მოცემულობით ისარგებლა „ქართულმა ოცნებამ“ და თვეების განმავლობაში სხდომებს არ ესწრებოდა, რის გამოც მისი გახსნა თავმჯდომარის არჩევაზე პრობლემური აღმოჩნდა. რაც შეეხება ბათუმს, აქ შუალედური არჩევნები 2022 წლის 2 აპრილს ჩატარდა და „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა გაიმარჯვა. შედეგად, ამ პარტიამ საკრებულოში საკუთარი წარმომადგენლობა 17-მდე გაზარდა. თუმცა, აქაც სენაკის მსგავსი სიტუაცია შეიქმნა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ოპოზიცია სარგებლობს თავისი რაოდენობრივი უპირატესობით და, სხდომებზე არგამოცხადებით, „ქართულ ოცნებას“ საშუალებას არ აძლევს, ახალი წევრი დაიმატოს.[239]

[239] „საკრებულო ისევ ვერ შეიკრიბა - გველის თუ არა კიდევ ერთი არჩევნები ბათუმში“, საინფორმაციო

ამგვარი კრიზისის მოგვარებას არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სამართლებრივი კონტექსტიც აქვს. ფაქტია, რომ არც თვითმმართველობის კოდექსი და არც საკრებულოების რეგლამენტები არ აღმოჩნდა მზად შექმნილ ვითარებასთან გასამკლავებლად. ეს აქტები არ შეიცავს რაიმე ანტიკრიზისულ/ანტიჩიხურ მექანიზმებს იმ შემთხვევისთვის, თუ საკრებულო ვერ ირჩევს თანამდებობის პირებს ან ვერ მოახერხებს უფლებამონაცვლე წევრების უფლებამოსილების ცნობას; ამგვარი დებულების არსებობა ბათუმისა და სენაკის საკრებულოების შემთხვევაში არსებით წვლილს შეიტანდა კრიზისის განმუხტვაში. რეგლამენტები არ ითვალისწინებს ასევე პირველი სხდომის დღის წესრიგის ფარგლებში მომდევნო სხდომების მოწვევის ზუსტ პროცედურებს (ინიციატორი, მოწვევაზე უფლებამოსილი პირი, მოწვევის პერიოდულობა), რამაც ზოგიერთ საკრებულოში კითხვები და პრაქტიკული პრობლემები გააჩინა; დროებითი სამანდატო კომისიის წევრების წარდგენის პროცედურის არარსებობამ კი, მკვეთრი პოლარიზაციის პირობებში, შეიძლება კრიზისი იმაზე უფრო ადრეულ ეტაპზე წარმოშვას, ვიდრე ეს განხილულ საკრებულოებში მოხდა.

გარდა ამისა, რეგლამენტებში მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული საკრებულოების ფრაქციათა რეგისტრაციის მომენტი, რაც განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას ტოვებს და, ამავე დროს, დამატებით ბარიერებს ქმნის. პრობლემების თავიდან ასარიდებლად ასევე საჭიროა საკრებულოების საქმიანობის მარეგულირებელი მთავარი აქტების ჰარმონიზება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან პირველი სხდომის პროცედურების თანმიმდევრობის ნაწილშიც (კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცება, კომისიების დაკომპლექტება, მათი თავმჯდომარეების არჩევა).

პირველ პრობლემად ახალარჩეულ საკრებულოებთან მიმართებით მომდევნო წლის ბიუჯეტის დამტკიცება გამოიკვეთა. ეს გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ არც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და არც საკრებულოების რეგლამენტებით არ არის დადგენილი ახალი მოწვევის საკრებულოს არჩევის შემდეგ წინა მოწვევის საკრებულოს სხდომების ჩატარების შესაძლებლობა, რამაც განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას გააჩინა. ამ საკითხის მოგვარებაც საკანონმდებლო დონეზეა აუცილებელი, რათა გამოირიცხოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ერთი რომელიმე პარტიის სუბიექტური მიდგომები.

ამდენად, რეგლამენტებში ამგვარი ცალკეული პროცედურული ხარვეზების აღმოფხვრა და ანტიკრიზისული მექანიზმების გაწერა, რომელთა არარსებობა ნაწილობრივ აფერხებს საკრებულოთა ფუნქციონირების დაწყებას, მნიშვნელოვნად დააზღვევდა მსგავს გამოუვალ სიტუაციებს. თუმცა, მთავარი გასაღები მაინც პარტიებს შორის კონსენსუსშია.

რა შეიძლება მოიტანოს შედეგად ამგვარმა ვითარებამ მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის: 2022 წლის 1-ლი მაისის მდგომარეობით ყველაზე რთული ვითარება სენაკისა და ბათუმის საკრებულოებშია, სადაც დეპუტატები, უკვე 4 თვეზე მეტია, ვერ იკრიბებიან და არც პარტიებს შორის კონსენსუსის პერსპექტივა იკვეთება. თუ პო-

---

პორტალი *„ბათუმელები“*, 2022 წლის 12 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3L2C8Hu, განახლებულია: 27.04.2022.

ლიტიკური პარტიები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, შესაძლოა, საკრებულოსთვის ეს უფლებამოსილების შეწყვეტამდე მივიდეს. ეს მოხდება, თუ საკრებულო ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ შეიკრიბება[240] (ვერ შექმნის სხდომის გახსნისთვის საჭირო კვორუმს), ან შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში მას პრეზიდენტი დაითხოვს.[241] ამ საფუძვლით, შესაძლოა, უფლებამოსილება შეუწყდეს ბათუმის საკრებულოს, თუკი ის 2022 წლის 3 ივნისამდე ვერ შეიკრიბება, სენაკის საკრებულოსთვის კი ეს თარიღი 17 ივნისია. კიდევ ერთი, თუმცა უფრო გრძელვადიანი გზაა 2023 წლის 1-ელ აპრილამდე იმავე წლის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობა, რასაც, საკრებულოსთან ერთად, მერის უფლებამოსილების შეწყვეტაც მოჰყვება.[242]

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ახლა ჯერი პარტიებზეა, რომელ გზას აირჩევენ, რაც არსებითად დამოკიდებულია იმაზე, რომლის ინტერესებში შედის ახალი არჩევნების ჩატარება მსგავსი მოცემულობის მქონე მუნიციპალიტეტის ელექტორატში.

[240] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 142-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.
[241] *იქვე,* 141-ე მუხლი.
[242] *იქვე,* 142-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტი.